წერილი
ნენის
მოთხრობა

წერილი ნეინის

მოთხრობა

თბილისი ❖ 2022

თამარ ნიჟარაძე
წერილი ნენის
ფსიქოლოგიური მოთხრობა

რედაქტორი:
მედეა რატიანი

ტიპოგრაფიკა:
პაატა მამფორია

გერმანული ციტატა ითარგმნა ავტორის მიერ

წიგნში გამოყენებული ფოტოსურათები
მოძიებულია გუგლის სისტემაში

წიგნის გამოცემაში გაწეული მორალური მხარდაჭერისთვის
მადლობას ვუხდი ქალბატონ **ლალი ხუციშვილს**

ISBN 978-9941-8-3394-6

„ლანდები მოითხოვენ გაცილებით მეტ სისხლს, ვიდრე ყველაზე ბოროტი სახელმწიფო, ან ხელისუფლება... იმისთვის, რომ იყოს აზრი, საჭიროა სიბნელე...“

მერაბ მამარდაშვილი

ეს სიტყვები მთლიანად ასახავს იმ გარემოს, რომელშიც ეს მოთხრობა დაიწერა, გასული საუკუნის 90-იანი წლებს.

ავტორი თითქოს ახალს არაფერს გვეუბნება – შავის და თეთრის ჭიდილი, მარადიული დილემაა, მაგრამ ყოველი ჭეშმარიტება ინდივიდუალური სულიერი პრიზმის ანარეკლია. კალეიდოსკოპი აფართოებს თვალსაწიერს.

ვფიქრობ, მოთხრობა საინტერესო იქნება ყველა თაობის მკითხველისთვის, მასში გაბნეული ფსიქოლოგიური პასაჟები მუდამ მძაფრად იდგა და მომავალშიც იქნება თავსატეხი საზოგადოებისთვის – უდედოდ გაზრდილი ბავშვს ყოველთვის თან სდევს უსიყვარულობის კომპლექსი...

ცრუპატრიოტიზმი,

დაუდევრობამდე მისული ოპტიმიზმი – ეს ის შტრიხებია, რაზეც კიდევ ერთხელ მოგვიწევს დაფიქრება...

უკეთესი მომავლის ძიებაში გადახვეწილი ახალგაზრდების ტრაგედია... მათი გზა...

„ერთადერთი სწორი და ჭეშმარიტი გზა არსებობს, აბსოლუტური და დისკუსიას მოკლებული გზა, და ეს გზაც აბელის სისხლით მორწყული მიწიდან გაცილებითაა დაშორებული. ეს გზა სულიერ სიმაღლეშია, კაცობრიობას კი ამ სიმაღლის შიში უკურნებელ სენად შეჰყრია, ნენი!“

მაშ რა არის ღირებული?!რა არის ადამიანის სიცოცხლის საზომი?! – პატივმოყვარეობა?!

ძალაუფლება?!

სიმდიდრე ?!

პოპულარობა?!

ამაზე ფიქრი შეუძლია სულიერებადაშრეტილ ადამიანს?!-არა!..

ყველა სხვადასხვა გზით უხდის ხარკს ამ კერპებს...

ბოლოს კი, სიკვდილ-სიცოცხლის პაექრობის ჟამს, უმრავლესობას აღმოხდება დიდი მხედართმთავრის მსგავსად: „შენ გაიმარჯვე, ნაზარეველო!“

მედეა რატიანი

სარჩევი

ობოლი 8

ქორწილი 9

დედინაცვალი 12

დედულეთში (სტუმრად პაპასთან) 14

სიზმარი – მოზარდის ქვეცნობიერი სამყარო 16

ჩუმი წყევლის ძალა 18

უნდობლობა 19

ამონთხეული ობლობა 21

ყმაწვილობა და ხანდაზმულობა – კორიდას არენა 22

უძღები შვილი 24

ფიქრები წყაროსთან (სიყვარულისა და სიბრალულის მიჯნაზე) 28

სამშობლოდან გადახვეწილნი 29

სხვა გზა 30

უცხო გარემოში 32

* * * სამყარო ვიზუალურად აღქმადი ხდებოდა 35

რაც შეიძლება შორს 36

სიძულვილის ზონა 38

წერილი ნენის 40

დაკარგული თაობა 46

* * * სულმოუთქმელად აირბინა სადარბაზოს კიბეები 48

მორჩა... 49

დაბრუნება 51

Ich wünsche alle Dinge mir ausgehändigt, sowie Gewalt über die Tiere und ich begründe meine Forderung damit, adass ich einmal vorhanden bin.

Bert Brecht

„მე ვისურვებდი ხელმწიფებას ყველა საგანზე, ძალაუფლებას – ცხოველებზე. და ეს მოთხოვნა იმით მართლდება, რომ მე ვარსებობ, ამის შანსი კი ამ ერთადერთხელ მომეცა მხოლოდ.“

ბერტოლდ ბრეხტი

„განვედ, მაცდურო სატანავ, ჩემგან!..
მტრობა შენი ადამიანთადმი მოგიძღვნის
მხოლოდ წყევლას და შეჩვენებას,
თვით იმათგანაც კი, ვინც შენს გზაზე დადის,
ვინც შენს რჩევას უგდებს ყურს, –
ვისაც მოეწამლა ფიქრი და გრძნობა შენის გესლით,
თვით ისინიც კი მოგაფურთხებენ,
როდესაც დაუკვირდებიან თავიანთ საქმეთა
და ხმა ჩემი შთანათესი იმათ გულში,
დაუდგებათ თვალწინ“.

ვაჟა –ფშაველა

„ეშმაკი“

ობოლი

პანთეონს ჰგავდა ბიჭის ოცნება – ღმერთების საყდარს. უამრავ მმართველს მოეყარა თავი მის არსებობაში, მაგრამ ეს არ იყო პოლითეიზმი, სრულებით არა. ეს გახლდათ სურვილი, ძიება, ქვეშეცნეული, ყველას და ყველაფერს სახელი ჰქონოდა, პატრონი ჰყოლოდა.

პაწაწა არ ეთქმოდა, პატარა კი ნამდვილად იყო.

არცთუ მკვეთრ აღმართს მოილევდა ხანდაზმული. ისე ქლოშინებდა, ღელავსო, იფიქრებდა კაცი. ხის ღობეს მიადგა და ამოშვერილ სარს, ღობის არსებობაში ულაზათო მონაწილეს, ჩამოეყრდნო და სავსებით დაენდო.

საოცარია, მართლაც ღელავდა.

ძახილის ნაწილი ფიქრებმა ჩაყლაპა, ნაწილი შეგუბებულმა სულმა და საბოლოოდ ყმუილ-ზმუილის მსგავსი ბგერები ამოსკდა მის ხორხს.

დადარაჯებულივით ისკუპა პატარამ ბოსტნის კუთხიდან და დედულეთის ამ ერთადერთსა და უკანასკნელ ნაშთს, საოცრად გაფითრებულსა და უცნაურად აღელვებულს, ცნობისმოყვარე მზერა მიაჭედა:

– პაპა?!

– ასე ადრე სად გაიზუნზლე ბიჭო! – გაღიმება სცადა მოსულმა, – წადი, სუფთად ჩაიცვი!..ხელ-პირი კარგად დაიბანე, ისე, შენ რომ იცი... მამაშენი ალბათ მალე დაბრუნდება, – ხრინწი გაერია ხმაში, – ქალი მოჰყავს... ცოლი... დედას ხომ ნატრობდი... არ იუცხოვო, იცოდე!.. – მკვეთრად იბრუნა პირი ხნიერმა.

გაურკვევლობამ შეიპყრო პატარა. – დედა... ცოლი..., ერთულა ამოხსნა ცხოვრების ამ მართლაც რთული პასაჟის. რა იცოდა, რომ უფროსები მსგავს ლაბირინთებში გზის ძიებით თავს არ იწუხებენ ხოლმე. ბავშვური მიამიტობით ერთბაშად ანება

თავი ფიქრებს და სიახლის მომლოდინემ იქვე გადმომჩქეფ წყაროს წყალს შეუშვირა ჭუჭყიანი ხელები.

დედისაგან მიტოვებული – ბედისაგან მიტოვებულია, უდედობა – უბედობაა, სულისა და ხორცის ტკივილია უსალბუნო, მწუხრის თარეშია გულში, სევდა თუ სასოწარკვეთილებაა თვალის კილოებში და უსწორმასწოროდ მიყრილი ღარებია შუბლზე.

არცერთი ამ ელეგიათაგან ჯერ კიდევ არ აჩნდა კვალად პატარას. იგი ჩვეული გულმოდგინებით იფშვნეტდა და იმტვრევდა წყალს მიშვერილ ხელებს, რომლის გულებზეც ქირომანტიით გატაცებლი უთუოდ შენიშნავდა ცხოვრების ხაზის სიმოკლესა და მის უცნაურად განვითარებულ მიმართულებას.

ქორწილი

სამეფო ნადიმს არ ჰგავდა ეს სუფრა, მით უფრო ბაკქანალიას, თუმცა დიონისე კვლავაც ომახიანად მეუფებდა სუფრაზე, რომელიც სულ შვიდი თუ რვა კაცისგან შედგებოდა და მაინც ერთი ღრიანცელი სუფევდა ირგვლივ. მსგავსი დისონანსი არ იყო უჩვეულო ბავშვისთვის, რაც თავი ახსოვდა ასეთ გარემოში იზრდებოდა.

უმრავლესობა სტუმრებისა ფეხზე წამომდგარიყო და

იმ იმედით, რომ ერთხმად აღვლენილი სადღეგრძელოთი გამეფებულ ყაყანს გადაჯაბნიდა, თავს არ იზოგავდა.

ერთ-ერთი მათგანი, დონ კიხოტის ქართველი ანალოგი, გამეტებით უზიარებდა საკუთარ გამოცდილებას თანამეინახეთ და აბდაუბდა ფილოსოფიით მოქანცულ ენას საშველს არ აძლევდა.

მათი დაცხრომის უებარი საშუალება – „ბალზაკისეული გასტრონომიული მელანქოლია“ – სწორედ რომ თავდადებული მხსნელივით მოევლინებოდა სუფრას, თუ რომ დროულად ეჩინა თავი. და მართლაც ამ გარდაუვალობაზე თითოეულის დამძიმებული სტომაქი მეტყველებდა, რომელთა პატრონებსაც უკვე ხვავრიელი მტევნებივით დაეკიდათ თავები.

ნეფე კი, ვინაიდან მან ფეხზე წამოდგომა არ ინება, თავისდა სავალალოდ, ჩვენი დაუცხრომელი ცნობისწადილის მახეშიც გაება. ეს დაუდგრომელი და ყველაზე თავაშვებული წადილი კი ჭორიკანობის სისხლით ნათესავი თუ არა, ახლობელი მაინც გახლავთ და ცოტად თუ ბევრად დაუნდობელია.

ჩვენი „მსხვერპლი“, რომლის პატარა თავიც დიამეტრულად განსხვავდებოდა ტანისაგან, ჭამის დროს დაკუსულ თვალებს ნერვიულად ატრიალებდა. ის ცოტაოდენ გაპრანჭულად, ცოტაოდენ ფეთხუმად გეახლებოდათ. ეს იყო მანერა, ზრდილი ადამიანებისაგან აღებული და საკუთარ ბუნებაში არსებული ჩვევების საოცარი სინთეზი. ტუჩები ნაყროვანებას ალისფრად აენთო და რადგან ვითარება ბახუსის ვნებასაც ჰპირდებოდა, ფეხები ასწლოვანი მუხასავით ფართოდ გაელაჯა, რომელთაც წამოდგომას ვერანაირი, დღეს ჩვენს ხელთ არსებული, ეტიკეტის ნორმები ვერ აიძულებდა.

ეს გარემო, ჩვენი ინტერესის ობიექტისთვის სავსებით მშობლიური, მთელი სისავსით შეაგრძნებინებდა მას საკუთარ „მე“-ს. აქ იგი იმ სრულქმნილი ადამიანის ამბიციებს ირეკლავდა, რომლის ხელშესახები მყოფობაც უდავოდ მართლდებოდა და ამ-

გვარ ატმოსფეროში (უხვად გაშლილ სუფრასთან), მისეული ფანტასმაგორიით, იგი, შეუცვლელი კაიზერი, თანამესუფრენს მხოლოდ პლებეური წარმოშობის ვეზირებად თუ მიიჩნევდა.

ხომ არ გაფიქრებინეთ, რომ პათეტიკური პოზა ან ტონი ღალატობდა, ან კი აპლომბს უპოვიდით ზადს – რა საკადრისია! ბაქიაობა? – ეს მისი გატაცება იყო.

ახლა, ვთქვათ, სუფრა, ეს აუცილებელი ჰიპოსტასი, დროებით გამოვაცალოთ, – გახსენებადაც არ ღირს, – აი, აქ კი აღარაფერი რჩებოდა მისგან, საწყალობლად იკარგებოდა და მისივე არსებობა იმდენად უსუსური ხდებოდა, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ თუ ორჯერ შიშვლად დაანახა თავი და ელდანაკრავივით შეაკრთო.

გულში არც გაივლოთ, რომ გრძნობებისა და ჭკუისგან მთლად დაშრეტილი კაცი მყავდეს მხედველობაში. სამწუხაროდ, ცოტა ორივე გააჩნდა (ტრაგედიაც აქ იყო სწორედ), ამის გამო მას საკუთარ თავთან შეხვედრა უხდებოდა, წამიერად, მაგრამ მაინც, და ამ პაემანის ორგანიზატორები – სიფხიზლე და სიდუხჭირე – მისი საუკეთესო მეგობრები გახლდათ.

თუკი მასში ფილანთროპის აღმოჩენას ისურვებდა ვინმე „ათას ერთი ღამის“ საკადრისი ტრაპეზი თუ იხსნიდა მხოლოდ. სხვა შემთხვევაში იგი, სინდისისაგან მხილებული, კაცთმოძულის სახეს იღებდა და ყველას და ყველაფერს პასუსხს, კაცობრიობას კი ხარკს სთხოვდა და სამყაროს, ამ მისი ვალიდან ამოუსვლელ, ვალაუვალ, გაკოტრებულ „გლახას“ არცთუ უშინაარსო ტრაფარეტს უფრიალებდა ცხვირწინ: – დიახ, მე ვარსებობ!

და, განა არ კმაროდა, ის ასებობდა!

ამ ექსპლუატატორს და მოხარკეს გვერდს უმშვენებდა პატარძალი. ცხადია, აქ არც მეფისწულებთან და პრინცებთან, არც ფერიებთან და სილფებთან გვქონდა საქმე და ეგებ მისი აღწერა უსარგებლო შრომადაც ჩაგვეთვალოს, რადგან საკ-

მარისია, შეიხედოთ ბედმოცარულთა ოჯახში, რომელთაც ბურჯი ოჯახისა უდროოდ გამოსცლია ხელიდან და ახლა მის შემცვლელს მერყევი გაბედულებით გადაუდგამს ის საკმაოდ რისკიანი და საპასუხისმგებლო ნაბიჯი, რომელსაც ასე პომპეზურობით ვუწოდებთ ქორწინებას.

დედინაცვალი

„სთქვა უფალმა ღმერთმა: არა არს კარგი კაცის მარტო ყოფნა... და სრულყო უფალმა ღმერთმა ნეკნი, რომელიც ამოიღო ადამისგან და მიიყვანა იქ ადამთან ცოლად.
და სთქვა ადამმა: ამიერიდან ეს არის ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი...“

(დაბ. 2, 18-23)

ქალი – მეუღლე, – ეს დაქცეული სახლ-კარის ოწინარი, წყვდიადის კვეს-აბედი, ამომწყდართა კუნწულა, კერიის მძლავრი საბერველი, ეს მუდმივი განტევების ვაცი, ხარკი, ხარაჯა, მთლიანად შეწირული უცხო ჯიშსა და გვარს – შედგამს თუ არა ახალი ოჯახის ზღურბლზე ფეხს, ქამელეონივით იცვლის ფერს და ამჯერად სულ სხვა ამპლუაში გვევლინება, რომლისთვისაც, გამოგიტყდებით, მიუხედავად ასაკისა და გამოცდილებისა, მზად თითქმის არცერთ შემთხვევაში არ არის.

დაბალი, ულაზათო, ყავრით დახურული ძველი სახლი უკვე მეორე შემთხვევას ითვლიდა თითებზე; მის ზღურბლს აგერ უკვე მეორე დიასახლისმა გადმოაბიჯა. ეს ცხოვრებისეული რე-

ციდივი კერიამ ტრიუმფით მიიღო, სახლის ფუძემ კი – მხრების აჩეჩვით.

არც ქალისთვის გახლდათ ადვილი ცოლად გაჰყოლოდა კაცს, რომელსაც მეორე ნახევარი მიწისთვის მიებარებინა და მათი ოდესღაც თანაცხოვრების კვალი, იქვე კუთხეში, შესაბრალისად მიყუჟულიყო.

ჯერ კიდევ ქალწულებრივი ბუნება ქალისა აღთქმას ადებინებდა მიცვალებულის სულის წინაშე, ბავშვისთვის ნამდვილი დედობა გაეწია.

დამფრთხალს და თანაც შინაგანად რიგორიზმით აღსავსეს სულ ცოტა დრო სჭირდებოდა, ჯარასავით დატრიალებულიყო. სულშეგუბულის ამოსუნთქვას დაემსგავსებოდა მაშინ მისი პირველი ნაბიჯები დიასახლისობაში.

უმალ რაც იაზრა, ბავშვის ალერსი იყო. გაუბედავად, მაგრამ ნაზად ჩაიკრა გულში. სიბრალულს გრძნობდა, სიყვარულს – ნაკლებად. საოცრად გულწრფელი ჩანდა.

ძნელად თუ სადმე წააწყდებით ამდენად კონტრასტულ გრძნობებს, ამ ორ ადამიანთა შეხვედრამ რომ წარმოშვა. იგი სითბოსა და გულგრილობას, სიყვარულსა და სიბრალულს, ნდობასა და ეჭვს შორის მერყეობდა და თითოეული მათგანი მოძრაობდა იმდენად უნებლიედ და დათრგუნულად, იფიქრებდით, უხეიროდ დამზადებული მარიონეტები აუთამაშებიათო.

მამა ოჯახისა ნაკლებად წვდებოდა იმ იდუმალ და ბრუდამხვევ გრძნობათა ქაოსს, რომელიც, უხილავი ძაფებით, ერთმანეთთან აერთებდა და თიშავდა ორ სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და ასაკის, სისხლისა და ხორცის ნატურას.

მან მისთვის ჩვეული ზედაპირულობით შეავლო თვალი ვითარებას, უეცრად თვალში გაბლანდული, ქალის გულ-მკერდში თავჩარგული ბავშვი რომელიღაც სკულპტურულ გამოსახულებას მიამსგავსა, რამაც სიამოვნება და, რატომღაც, სიამაყეც

განაცდევინა და კიდევ ერთხელ ღრმად დარწმუნებულმა საკუთარ თავში სტუმრებისკენ მიმართა გული და გონება.

სუფრა ფინიშს უახლოვდებოდა.

შეზარხოშებული, ილაჯგამოცლილი ნეფე, დაუდევარი ოპტიმიზმით აღსავსე, სრული ექსტაზით უკმევდა გუნდრუკს დედაშვილობის კულტს.

დედულეთში
(სტუმრად პაპასთან)

სახელოსნოში არლეკინივით ყირაზე გადადიოდა ქაოსი – ვისთვის უწესრიგობა, ვისთვის კი წესრიგი. ამ პირობითობაზე, ეჭვი არ არის, დამეთანხმებით, ხელოსანთა გარჯისთვის ერთხელ მაინც თუ მოგიკრავთ თვალი. მხოლოდ ონავარი შვილიშვილი თუ მიუჩენდა ყველაფერს ადგილს, მიუტევებდა მოხუცი „ცუღლუტობას“, სხვას კი სიავეშიც კი ჩაუთვლიდა – დროის დაკარგვის გამო.

ის იყო ტყავის ფეშტამალი მოიხსნა, ხელები ჭუჭყიან ჩვარზე შეიწმინდა, რომ კარის ღრიჭოში შუქი შემოიზანტა. სალმის მიცემის ნაცვლად შვილიშვილმა მხოლოდ გაუღიმა.

– ოჰო!.. გაგვიმარჯოს! – გაიბადრა დამხვდური, – დღეს რაღაც შეგაგვიანდა, რაშია საქმე? – ერთბაშად მიაფანტა კითხვები.

პატარა მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა და უკვე მერამდენედ, ვინ იცის, ხარბად სწავლობდა სამუშაო ინსტრუმენტთა გარეგნობას, თითქოს მათი ხასიათის ამოცნობა სურდა და მით ივსებდა კაცობრიობის შეუცნობლობით გამოწვეულ დეფიციტს.

ეს სუსტი არსება ენაწყლიანობას მხოლოდ წინაპართან იჩენდა და ის იყო ახლაც პირი დააღო, რომ პაპამ დაასწრო: – აბა,

ახლა კი წავედით, გვიანია უკვე. ჯერ შენ გაგაცილებ. მან ბიჭის კეპის წინაფრას ალერსით დაჭკრა ხელი და ბავშვი წინ გაიყოლა.

საკეტმა გამოფიტული ძვლებივით დაიჩხრიალა და ორი ადამიანი – ერთი წარმავალი და მეორე მომავალი, პატარა ფერდობს შეუდგა.

გაფითრებული დისკო არაფრით იმჩნევდა სიშავე რომ ეპარებოდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, კაცმა მალაო... შეუნიღბავი ჭირივით ჩამობნელდა ანაზდად.

... აივანზე გადმომდგარი ქალი თბილად უღიმოდა მოახლოებულთ.

– საღამო მშვიდობისა! – მიესალმა ხანდაზმული და მზერა აარიდა. თავის მხრივ ქალმაც ხმაგატეხილად უპასუხა და უხერხულობის მისაჩქმალად გერს უნიათოდ უსაყვედურა სახლიდან გაპარვა.

– როგორ შეეგუეთ აქაურობას, ეს ანცი ხომ არ გაბრაზებთ? – საუბარი წამოიწყო ბერიკაცმა.

– შეუჩვეველი არაფერია, არც ჩემი ბიჭი მაჯავრებს. ეს არის მხოლოდ, თქვენს სახელოსნოს ვერ მოვწყვიტეთ, ვაითუ ხელს გიშლით. ქალმა „ჩემი ბიჭი“ ისეთი ხაზგასმული სიყალბით წარმოთქვა, რომ საკუთარ თავზე გაწყრა უეცრად. არადა მართლა არ იყო ბიჭის მიმართ ცუდად განწყობილი, მაგრამ ამ მოხუცთან მუდამ ასე ემართებოდა. მასთან შედარებით ბავშვის მისაკუთრება უმწეო და ლიტონი ხდებოდა და ალბათ ამიტომაც. თვითონ სწავლობდა გერის სიყვარულს, ცხვირწინ კი იმავე სიყვარულით ფესვგადგმული, თავად ხნიერი სიყვარული ეჯდა.

– ხელს მიშლის?! – რას ბრძანებთ, ამით მიდგას სული – კვლავ უხერხულობამ აიგდო ხნიერი მასხრად.

უამრავი რამ იყო დაცული მათ შორის: ზღვარი მიმართვაში, ეხებოდა ეს ხანდაზმულთან თუ მეორე, არცთუ ნაკლებად დელიკატურ საკითხს – მანდილოსანთან დამოკიდებულებას.

და მაინც, უნდობლობა მოუსვენრად წრიალებდა მათ სიახლოვეს.. იგი, ხორცშესხმული ბავშვის სახით, მოხუცსა და ქალს შორის ჩამდგარიყო და მისდამი ყურადღების კონცენტრაციით სუსტად, მაგრამ მაინც, აიოლებდა ურთიერთობას.

დაკვირვებად ღირდა, რა ფარული თავგამოდებით ცდილობდა თითოეული, ბავშვთან მიმართებაში მხოლოდ საუკეთესო მხრით წარმოეჩინა თავი. ამ ამოქექილი და ხელოვნური თავაზიანობის მიღმა კი უფრო მეტად ერთმანეთისგან დასხლტომას ლამობდნენ . თითქოს ერთი აფრთხილებდა, მეორე კი, გამუდმებით იმართლებდა თავს.

სიზმარი – მოზარდის ქვეცნობიერი სამყარო

შემოდგომა უნდილად ეპარებოდა ჯერ კიდევ სულთმობრძავ ზაფხულს. ხელ-ფეხს რეტიანივით აცეცებდა და მოსაჭიდს ეძებდა დასამკვიდრებლად. ხომ იცოდა რომ მოდიოდა, მისი იყო ბურთიც და მოედანიც, მაგრამ სულსწრაფობდა ზამთარივით (სად იყო ზაფხულის სიდინჯე და აუჩქარებლობა). იგრძნო თუ არა ჩემი გამივიდაო, დამფრთხალის ნიღაბი ერბაშად გადაირეცხა პირიდან, თვალები შლეგიანივით ააკვესა და მოსცხო და მოსცხო წვიმა.

გამოცდილნიც ვერ მიუხვდნენ ფლიდს: ტირისო ზეცა, ნაღვლიანია და განცდიანიაო შემოდგომა და ამის გამოაო, ამტკიცებდნენ, პოეზიას სევდა მოეძალება თუ არა, გალაკტიონის და მერის არ იყოს, შემოდგომას გაირევსო სტრიქონებში.

ცეტობდნენ წვიმის წვეთები, სიბნელით სარგებლობდნენ. ყავარი ეხამუშებოდათ ცივილიზაციის ყვავილობის ჟამს და ჩუმად ქირქილებდნენ.

ქიმერული ხილვები ერთმანეთს ცვლიდა. რეალობა და ვიზიონი უმოწყალოდ გადაზელილიყო და მათ მიჯნაზე მყოფი მოზარდი საწოლზე მიჯაჭვულივით ატრიალებდა თავს. ხედავდა სარკმელს, ჭირხლით შესუდრულს, ქალი მოსდგომოდა. თითქოს ეცნობოდა და თითქოს არა, უღიმოდა და არც უღიმოდა თითქოს. შიშს აეტანა ანჩხლსა და უნდობს და ამის გამო გონდანისლული მფარველს უხმობდა; უეცრად მოწოლილი ძლიერი გრძნობების ქვეშ მოქცეული გაშმაგებული ბორგავდა და ეს პაროქსიზმი უთუოდ მოინელებდა მის ჯერეთ უმწიფარ ტვინს, მფარველ ანგელოზს რომ არ ეხსნა ჰიპნოფობის ბრჭყალებისგან უეცრად.

საშინლად დაზაფრულს გამოეღვიძა. გული სხეულის კედლებს ეხლებოდა და გათავისუფლებას ითხოვდა წუთით.

სასოწარკვეთილი სიჩუმე გამაყრუებელ ხმაურს იწვევდა. აი, როდის გახლავთ ადამიანის ხმა ყველაზე ამო მოსასმენი; აი, როდის უფერულდება და იცრიცება ბუნების ნებისმიერი ჰარმონიული ბგერა ამ ყველაზე ნატურალურ ჩქამთან შედარებით.

ისე ტაატით იშვებოდა ნათელი, სიბნელეს აინუნშიაც არ მოსდიოდა, რომ სულ რამდენიმე წუთში ფითრი დაატყდებოდა თავს. მისავათებული ცისკარი გაოგნებამდე უთვლიდა დითირამბებს განთიადს, რომელიც აგერ უკვე დაჯერებული მობრძანდებოდა დარაბებს მიღმა.

ჩუმი წყევლის ძალა

„საკუთარ სინდისთან მებრძოლი ადამიანის შეხედვა განსაკუთრებით გვაძრწუნებს“.

შტეფან ცვაიგი

ჩვილის ზარმაცი კვნესა ნერვებს ახელებდა. დაზაფრული და მოქმედების უნარწართმეული დედა ხან სიმწრით ისრესდა ხელებს, ხან კი სასოწარკვეთილი იმუხლებდა. ანაზდად ზეწამოფრენილს, გერი გაებლანდა ფეხებში.

– ჩქარა! ჩქარა! მამაშენი იპოვე, ან ექიმს დაუძახე! – მუდარა გარია ხმაში ელდანაცემმა. ჯოხნაკრავივით გაიჭრა ბიჭი გარეთ და პირდაპირ ექიმის ბინისკენ დაეშვა.

„მხსნელი ექიმის“ წასვლის შემდეგ, სახლში, ის საამო სიმყუდროვე გამეფდა, ჩვილის არსებობას რომ ძალუძს მხოლოდ. ილაჯგამოცლილი დედა გატრუნულიყო და ფიქრებით გათანგული თავი ბავშვის ლოგინზე მიედო, სკამზე ანგარიშმიუცემლად ჩამომჯდარს.

მგელივით მოშიებოდა დილიდან უხემსო ბიჭსაც. პატარას ავად გახდომამ შიმშილი გადაავიწყა, ახლა ისევ მოეძალა აბეზარი. უფრთხილესი ნაბიჯებით წაეპარა კარადას. ცდილობდა ხმა არ გაეღო და სწორედ ამ მცდელობაში გაუსხლტა „ულმობელი“ თეფში ხელიდან. ნერვიულად შეტოკდა ძილში პატარა.

– გაგიხმეს ხელები, გაგიხმეს! – მიწაყევლა გულში გაცოფებულმა ქალმა და გერის ზურგს გაავებული მზერა სტაცა, შემდეგ ხმელა-პურით ხელში აწურულს რომ წააწყდა, სინდისის ქენჯნა იგრძნო ერთხანს, მაგრამ გადაღლილმა ნერვებმა სრული მონანიების საშუალება მოუსპო.

ეს მისი პირველი წყევლა გახლდათ სხვისი შვილის მიმართ წარმოთქმული. ერთი ასის და ასი ერთის სადარია ხანდახან.

სასწორს ჰგავს ადამიანის ბუნება და ორივე პინა გაწონასწორების საშუალებას თითქმის არ იძლევა. სულ მცირეა ჩვენგან საჭირო და მარჯვენა პინაც გადაწონილი იქნება, მაგრამ არჩევანის დროს ერთი ჭირი გვჭირს ყოველთვის – სიყვარულს არ ეძლევა ხმის უფლება.

არ მინდა ვირწმუნო ჩემი ორეულის გამაბეზრებელი მტკიცება, შავი ჭარბობსო ადამიანში.

უნდობლობა

„შენ უფრო ახლოს ხარ ჩემთან, ვიდრე მე თავად,
ჩემს შინაგან სამყაროზე უფრო ახლობელი ხარ
ჩემთვის და მაინც მიუწვდომელი ხარ და გაუგებარი“.
ედით შტაინი – მიმართვა ღმრთის მიმართ

უნდობლობა – ლმობიერი შეურაცხყოფის ერთ-ერთი სახეა. იგი პიროვნების მეოთხედ ნაწილს მაინც უარყოფს. უნდობლობა ობიექტურ მიზეზებს ეყრდნობა ხშირად და არ გახლავთ ფრენოლოგიით გატაცებულ ადამიანთა აკვიატება, თუმცა არც უმაგისობაა. მას შიშივით დიდი თვალები აქვს და მის ნიადაგზე ისე იზრდება და ხვავდება, მთიდან დაშვებული ზვავი მასთან შედარებით მხოლოდ სიბრალულს თუ გამოიწვევდა ჩვენში. უნდობლობა საყრდენს ეძებს და მარტოოდენ თვალისა და გულის საზომს სჯერდება. თუმცაღა, ხანდახან ცდება: ხეზე აცოცებულს დანდობილად თუ წაგივლიათ ხელი ტოტისთვის და გაწბილებულხართ, მიმიხვდების სათქმელს.

სწორედ ამ დამთრგუნველმა გრძნობამ შეიპყრო ბიჭი მამის მეუღლისა და მისი ვაჟების მიმართ. წლებმა ის კიდევ უფრო გააღვივა, ზოგი აქედან იქნა აღებული, ზოგი იქიდან და საბოლო-

ოდ მისი კონცენტრაცია სრულყოფილად თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ასაკში მოხდა.

ნაცვალი რისამე თავისთავად იმ პირველადს როდი გულისხმობს, – მას ცვლიან, მაშასადამე სხვაა, მოდელია, თაბაშირის მულაჟია, მსგავსი, მაგრამ უსულო, ცივი და უსიცოცხლო, არასადაგი, არასაკმაო სიყვარულის მქონე.

ნივთის შემთხვევაში უკეთ გვაქვს საქმე, ვისიმე ნაცვალი კი... ეს უთუოდ ჩვენი აუტანელი ცხოვრების გასაიოლებლად შეთხზული სიტყვაა. აბა, რომელი ჭკვათამყოფელი მოითხოვს ერთმანეთს გაუთანაბროს ერთის მხრივ – მშობიარობის ენითაუწერელი ტკივილები და ხმა, რომელიც ამ ტკივილებს ერთი ხელის მოსმით აცამტვერებს; შეგრძნება იმისა, რომ სიცოცხლის ამ პატარა ნაწილაკმა მთლიანად შეძრა შენი შინაგანი სამყარო, ძლიერი კატაკლიზმების მსგავსად უცვალა ფერი შენს ქალწულობას – ქალად, დედაკაცად, დედად გარდაქმნის მისტერიამ; და რომ ამ საღმრთო განგებულებით აღსრულებულს შენ იბრალებ, ხორციელი მშობელი, ღვთის ძალმოსილებას ისაკუთრებ, რადგან პირადად განიცადე დიდი საიდუმლოების სიცხადე... და მეორეს მხრივ – არაფერი ამის დარი.

კაცობრიობის შეგნებაში საკუთარი თავის თაყვანისცემას იმდენად ღრმად გაუდგამს ფესვები, რომ აგერ უკვე საუკუნეების მანძილზე ვერაფერი ეშველა სიძე-სიდედრის, რძალ-დედამთილის, რძალ-მულის, გერისა და დედინაცვლის ურთიერთობებს და განა ეს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების გლობალური პრობლემა არ არის?!

ყველა გრძნობა ერთი და იმავე საწყაოთი არ იზომება და არც უმიზეზოა ქვეყნად რაიმე.

უმრწემესი ვაჟი დედის დაუოკებელ იმედსა და სიყვარულს იწვევდა, პირმშო კი – სიამაყეს და ის რჩებოდა ყველასგან განზე, სათვალავში არ ჩასაგდები. არც ვინმეს საიმედოდ და საამა-

ყოდ არსებობდა, რადგანაც მსგავს კერპებს მხოლოდ ხორცით დედანი ქმნიან. ისღა დარჩენოდა, გზა გაეკაფა დედის საფლავისკენ. მაინცდამაინც გულისყურით კი ნუ იქნებოდა, თორემ ლოცვას თუ ღაღადს მიამსგავსებდა სამარის ჩურჩულს, ლოცვას თუ ღაღადს – სისხლხორცეული დედისას უფლისა მიმართ, ამ ქვეყნად ღვთისანაბარად მიტოვებული შვილის გამო.

ამონთხეული ობლობა

შარაგზა ერთხანს რუდუნებით გრძელდებოდა და შემდეგ ერთბაშად უხვევდა ქეშად. იქვე კუთხეში მდგარი, ორსართულიანი სახლი უშნო ლამაზმანივით იწონებდა თავს, თუმცა ვერაფერი შვილი იყო. სახლის გრძელსა და საკმაოდ ფართო პარმაღზე ბილიარდის მაგიდა გაეშალათ ბიჭ-ბუჭელებს. მოთამაშენი აზარტული შემართებით წკურავდნენ თვალებს, რათა კის დარტყმა შეუმცდარი და ზუსტი ყოფილიყო. მათი ტუჩები ისე იმუწებოდა, თითქოს გატიკულ ტომარას ნება-ნება უკრავენ პირსო. სხვები ყურებას სჯერდებოდნენ და გაჰქონდათ ერთი ალიაქოთი.

– გენო, ბიჭო! კარგა ვერ გიჭირავ ჯოხი, ვერ ატყობ, ჰა! – გადაელია გული იქვე მოწრიალე ბავშვს, რადგან მისმა რჩეულმა მოთამაშემ ჯერ ვერც ერთხელ ვერ მოათავსა ბურთი ლუზაში.

– მაიტა რა, მაიტა რა მე! – ცქმუტავდა იმედგაცრუებული.

– გამეცალე აქედან, რისი შნო გაქ რო! – დაუტია შენიშვნით გაღიზიანებულმა და კარებში ახლად შემოსულს მიაძახა უმალ:

– ეი, ლეგო! წუთით შემეცვალე მალე დავბრუნდები!..

– ჯერ მე არ გითხარი როო!.. – აწუწუნდა ისევ ბავშვი და ახლადშემოსულ, ბილიარდის მაგიდას მოახლოებული ნახევარძმის დანახვაზე თხოვნა-წუწუნი უცებ მოთხოვნა-ქადილად აქცია.

– მაიტა, მაიტა, მეთქი! – აკივლდა ჟინიანად და ნახევარძმის ხელში პატრონივით ჯავრჩაკლულ და გახევებულ ჯოხს ისტერიულად ჩაეჭიდა: – მომეცი-მეთქი, ვის ვეუბნები!... ფუ, შენი! – მიაფურთხა უცებ და სიბრაზისაგან აცახცახებულმა ბიჭმა გააზრებაც ვერ მოასწრო, ისე შეასკდა ბავშვისგან მოქნეული წიხლი ჯოხიანად სახეში. სისხლმა მწვანე ხავერდს უცნაური, მგლოვიარე ლაქა დაატყო – მეწამული-შავი ფერისა და ერთხანს ზედ დაგუბდა.

გარეთ გამოვარდნილს ასაკმა გონიერი მოქმედების უნარი არ მისცა და ბოღმაჩაგუბულმა ჯავრი იქვე, ცუდად შეგლესილ კედელზე ამოანთხია.

ამაოდ კვნესოდა შეუბრალებლობისა და შეუგნებლობის წყვილი, ჩაწნეხილი მომუშტული მსხვერპლი.

ყმაწვილობა და ხანდაზმულობა – კორიდას არენა

„სიბერისა პატიოსნებაჲ არა მრავალი ჟამი და არცა რიცხვი დღეთაჲ აღრაცხილ, რამეთუ მხცოვანებაჲ არს გონიერებაჲ კაცთაჲ და ჰასაკ სიბერის – ცხოვრებაჲ უბიწოჲ .“

მწუხრის საკითხავიდან

წლები მოეღალა ხნიერს. ახლა უგერგილოდ ჩაყუნცულიყო ღუმელის გვერდით.

ახალგაზრდობა ხანდაზმულობას რომ შეეხება ტენდეციურობასაც იჩენს უთუოდ;

ახალგაზრდობა კორიდას წააგავს – დიდ მოედანზე გამართულს, აქ იგი გახელებული კუროს როლშია. ესპადა – ეს ჩვენი ულმობელი წლები – გაგვაშმაგებს და თავად გაგვექცევა. ძალაც

მოგვდევს და მხნეობაც,, საშიშადაც მოვჩანვართ ერთხანს, – ღმერთმა არ ინებოს წავწვდეთ ტორეადორს თორემ!.. სწორედ ამ გაშმაგებული ხარის მოკვლაა ხანდაზმულობა!

ხანდაზმულობა – ამოწურვაა, ამოკრეფაა, დაწმედისას წასული ლექია ფსკერზე. მის თავზე ჰარპიებივით განუწყვეტლივ ატყლაშუნებენ ფრთებს რომელიღაც მღამიობნი – ფოსტა სიკვდილის!

ხანდაზმულობა – ეს ის ხიფათია ვიწროში რომ მოატანს; ის თავისთავად თვითკმარი სიდიადისაა და ამასთან უნიჟარო ლოკოკინასავით უსუსური.

მორგანატიკული წყვილი – ეს სიჭაბუკის ქორწინებაა სიკვდილთან;

ხანდაზმულობა კი კოსმოგონიის ნაწილია, მომწყდარ ვარსკვლავთა მსგავსად. იგი ნიობეს წააგავს თავისივე ქედმაღლობის მსხვერპლს.

ხანდაზმულობა – სიკვდილის აპოგეაა სიცოცხლეშივე. ეს მის გულს ემუნათება განუწყვეტლივ. იპყრობს პესიმიზმი და კონსერვატიზმი, იწყებს წარსულის აპოთეოზსა და უტრირებას და ეს რუტინა მოხუცებულის უჯიათია და უხიაკია ადრეული ზამთარივით, შაბლონურია ჩემი ნაწერივით, მოდით და გაამტყუნეთ, წინ სიკვდილია!

უძღები შვილი

„და ჰრქუა უმრწემესმან მან მამასა თჳსსა: მამაო, მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკჳდრებელისაჲ“

(ლუკა 12)

კარი ფეხაკრებით შემოირწა, წაიყოყმანა და ბოლოს გაბედა. არცთუ ტანმაღალი, ჩაფსკვნილი ყმაწვილი, რომელსაც სიკეთე და ამასთანავე მერყევი ხასიათი აღბეჭდოდა სახეზე, გულდაგულ მალავდა გადაყვლეფილ ხელებს ჯიბის სიღრმეებში.

ძველი ფილთა გადმოეღო მოხუცს და ზუმბას მეშვეობით, მოღალული, სვენებ-სვენებით წმენდდა ლულის ღრუს. შემდეგ კარის საწყალობელ ფორთხიალს მოხედა და თითქოს ლეთარგიული ძილიდან გამოერკვაო, გაოცებული თვალები მიასია შვილიშვილს.

ერთხანს ქურუხად აიღო თავი მოსულმა, მაგრამ პაპის თვალებს გადააწყდა თუ არა, ერთბაშად ასხლიტა მზერა და იატაკს მიაბნია გაფანტული.

– ჩვენი საღარა, – წამოიწყო დრომოჭმულმა, რაკი იქვე , სამფეხაზე მჯდომი დაიგულა ყმაწვილი, – სოფელში არცერთ სისხლჭარბ ცხენს არ ჩამოუვარდება, შენც კარგად იცი, თუმცაღა წლიერია. ჯეელობაში ამაყი და კერპი იყო. მახსოვს მის გახედნას ორი თუ სამი კაცი კინაღამ შეეწირა. ერთხელ თავისი გულფიცხელობით კლდეზე გადიჩეხა თავი, რაღაც სასწაულით გადარჩა. ხანმა და გამოცდილებამ მოალბო, თუმცა კი ჯანი იგივე შერჩა. ახლა სიდინჯე კრთის მის მიხვრა-მოხვრაში და ღირსეულ იერს აძლევს, მაგრამ... – აქ მოხუცმა თვალებით მიუსალბუნა შვილიშვილის დაჯიჯგნილ ხელების ზურგს, – ... მაგრამ ამგვარი სისუსტე ჩვენს საღარასაც კი არ წასცდენია არასდროს. გულღრძო გამიზრდიხარ შვილო, თავი რამ შეგაცოდა, ბიჭო?!

– მოხუცი უცებ გასწორდა თავის საკარცხულის მსგავს, მაღალ-ზურგიან სკამზე და ერთბაშად დაემსგავსა რაფაელის იულიუს II-ს, ყოველგვარი ინსიგნიების გარეშე.

თავი არ აუღია, ისე მოულოდნელად და სტიქიურად დაიწ-ყო ბიჭმა:

– ჭალიანთან რომ ტბაა იქ ვბანაობდით გუშინ. ისინიც იქ იყ-ვნენ, – ზოგადად მოიხსენია ნახევარძმები, ხმა ოდნავ უთრთო-და და თითქმის ჩურჩულებდა ბიჭი, – ცურვისას ფეხი გამიშეშ-და და რომ ვიგრძენი მოძრაობა აღარ შემეძლო, შეშლილივით ავაფართხალე სასოწარკვეთილმა ხელები. თავზე დამდგო-მოდნენ, მუქთახორები, გაზულუქებულნი!.. თვალი შევასწარი – ნათელი კიაფობდა მათ თვალებში... გეომ გამომიყვანე მერე... გესმის თუ არა ჩემი ბოლოს და ბოლოს, სიხარულის სხივი უკ-რთოდათ თვალებში, მე რომ ვიხრჩობოდი... – დაახრჩო თავა-დაც ცრემლებმა ბიჭი და მღელვარებამ მეყსეულად წამოაგდო სკამიდან: – და ეს უკვე მერამდენჯერ, სუფრასთან, როგორც წე-სი, ვიცდი, როდის ამოვიკითხავ მათ განებივრებულ, ჟინიან სა-ხეებზე ნებართვას, რომ ნასუფრალს შევუდგე ძაღლივით! ვიცი, რასაც ფიქრობ, ამპარტავნება არ მისწავლებიაო შენთვის, მაგ-რამ სულ ასე?.. გამუდმებით და უცვლელად?!.

მათი დედაა და ხანდახან ისეთი სიბრალულით მომაჩერ-დება... მაშინ მძაგს, რომ ვარსებობ... ბაკანი მინატრია, კუს ბაკანი – ასეთ მძიმე წუთებში უფრო საიმედოს ვერაფერს ვი-სურვებდი. ისეთი უმწეობის განცდა მაქვს , ამას ვერ აგიხსნი, მრცხვენია შენი... ეს ყველაფერი ხელოვნურ დადებილებას გავს. ამგვარ მეთოდებზე საკონცენტრაციო ბანაკებში უნდა ემუშავათ... თვით ჰერკულესსაც მოუშთობდა სულს. ზამთრის ღამეები რამდენჯერ დამზრალ ოთახში გამიტარებია, რადგან ისინი, ჩემი მოთმინებით გაცეცხლებულნი, აჭირვეულდებოდ-ნენ ჯავრის ამოყრის მიზნით... და მერე იმ ქალის საყვედურით

სავსე თვალები და მეც ვემორჩილები... ვემორჩილები, რადგან ასე მასწავლე, პაპა, მაგრამ რაღაც არ მადგება, მგონი...-ერთბაშად ჩაცხრა, სკამს დააწყდა და ისევ ჩამოაგდო თავი.

საიდანღაც, სიღრმიდან, შორიდან, უფრო სწორად, პაპამ ვერ გაიგო საიდან წარმოთქვეს ასე მტკიცედ და მკაფიოდ:

– ფული მჭირდება, პაპა!

– ფული?!

– ჰო, ფული, – ხიხინებდა ხმაჩამწყდარი, – თუკი რამე გადამარჩენს, ისევ ფულია. ეს არის ჩემი თავშესაფარი, მამაც და დედაც. არ გეწყინოს, მაგრამ აღარ მჯერა იმ მოჩმახული ლათაიების, ვაჟკაცობა, სათნოება, მოთმინება, სიყვარული რომ ჰქვია სახელად. ყველა ეს უსარგებლო და გამოუსადეგარი ყოფილა. ცოტ-ცოტა ყველა მიცდია, იცოდე! ვაჟკაცობას თუ მოინდომებ, მგლის ქურქში უნდა გაეხვიო ცხვარი, არადა სამარეს განატრებინებენ. სიყვარულს, მოთმინებას და სათნოებას ჩვენში სასტიკად იგდებენ და ჩალის ფასი აქვს – ქალის თვისებები ჰგონიათ მხოლოდ. ასე რომ, აღარ მჯერა შენგან შთაგონებული არც ერთი სიტყვის... ვაჟკაცობის შენეული სახე სულ სხვაა, პაპა, მასში უამრავ სათნოებას მოუყრია თავი, თვით ქრისტე გამოსჭვივის მათში და ძნელია შესასრულებლად.

შენ სადღაც ჩარჩენილხარ, დრომოჭმული სტერეოტიპების მსხვერპლად ქცეულხარ და გაყინული, უსიცოცხლო ფორმულებისა და მოწოდებების შემსრულებლად გინდა მაქციო მხოლოდ. იქ, გარეთ კი , სხვა სამყაროა... იქ, ჭრელი ბრბო მაგ შენს სათნოებებს თავისი უმეცრებისა და უტიფრობის ეშვებით გამოფატრავს და მისგან აღარაფერს დატოვებს, მერე ამ ყველაფერს ისეთი შესაშური სიმტკიცით შეასრულებს, რომ შენ ბევრად გაჯობებს, პაპა! და რადგან უკვე ვერაფერი გამიგია, რადგან შენი მოძღვრება საკმაოდ ძნელია შესასრულებლად, მეც სხვებივით ფართო, ია-ვარდით მოფენილ გზას ვირჩევ, იმ

გზას შენში დაუოკებელ სიძულვილს რომ იწვევს, არადა ადვილი კია სავალად... ტაძრამდე არ მიდის? ყველას ტაძრისკენ ხომ არ ექნება გეზი!.. ვიცი, რასაც მეტყვი, იმ საბრალოების მოქცევაარ, ვაჟკაცობა, ამას მე ვერ შევძლებ, ძალა არ შემწევს არაფრით. ისინი ჩემზე გაცილებით კარგად არიან მომართულნი საავკაცოდ. ხედავ, სად ვფლავდები – არც მათეული „კაცობის“ უნარი შემწევს, რადგან წაქცეულზე ვერ ავმაღლდები და შენგან შთაგონებულისა ხომ სრულებით არა გამეგება რა... ფული მჭირდება, პაპა!

– ფული?! – უკვე წამომდგარიყო ჯანგატეხილი, ნაწყენი და ნერვიულად აჩურჩულებული აფათურებდა კუთხეში მდგარ, ლაქგადაცლილ, დროისა და თაგვებისგან შელახულ სკივრში დამჭკნარ, შრომაში დაჩირებულ ხელებს.

– მაშ ფული გჭირდება... ფულია შენი დედაც და მამაც... მაშ... ესე იგი... ჰმ... სათნოება აუგდიათ ჩვენში მასხრად, არა?! – რაღაცას მიაკვლია ბოლოს, აცახცახებული ხელებით სინათლეზე გამოიტანა და შავი შალითიდან, წლების მიერ შემონახული, ინკრუსტირებული რკინის მუმია, მოოჭვილი გორდა გადმოასვენა.

– ეს ნივთი ძვირფასი ქვებით არის შემკული, – სნებაშეყრილივით მოდრეკოდა იერი მოხუცს – ჩემს დიდ პაპას ეჭირა მტერთან ბრძოლაში. დიდი ვაჟკაცობის ნაშთია იგი... მმმ... ჰო... აი ისეთის კი არა... თანამედროვე ვაჟკაცობისა არა გეგონოს. ჩაარბენინე ოქრომჭედელთან, მართებულად შეგიფასებს უთუოდ... და რადგან ფული ყოფილა ყველაფერი... შენ იცი აბა! – ზურგი აქცია შვილიშვილს და სკამისკენ წალასლასდა.

სულ უმნიშვნელო, ვერხვის ფოთლის მსგავსმა მხრების ცახცახმა გასცა მოხუცის სულიერი ტკივილი.

ფიქრები წყაროსთან

(სიყვარულისა და სიბრალულის მიჯნაზე)

უეჭველია შეცდა, მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ სხვანაირად დაიწყო. არავითარი სხვა გრძნობა არ ამოქმედებდა. უბრალოდ თანდაყოლილმა, ხორციელი დედის ინსტინქტმა, იმეფა და იზეიმა. მაგრამ მართლა სხვანაირად სურდა და ესახებოდა გერთან ურთიერთობა.

ეს რამდენიმე დღეა ბიჭი სახლში არ მოსულა. ამის უფლებას არც მისი მეუღლე აძლევდა და როგორც აქამდე ფიქრობდა, არც თვითონ მიუცია რაიმე საბაბი. ამ ბოლოს კი, ეს კეთილშობილებით სავსე ბიჭი აღარ იცნობოდა.

კაცმა რომ თქვას, თითქოს არ გამოურჩევია მათგან, მაგრამ, ... მაგრამ მაინც იყო კი, რისი ახსნაც არ შეეძლო, – რაღაც სხვანაირად, თავისთავად მოდიოდა ხოლმე...

ებრალებოდა დედის ალღოს, ტირილამდე ებრალებოდა, მაგრამ, რაც გინდა თქვი და, მაინც ობოლი ეთქმოდა. ათი ქალი რომ მოეყვანათ მფარველად, მისი მზრუნველი და მოყვარული ქვა-ღორღში იყო საძებარი და არც საძებარი. სიბრალულით აღსავსე მზერას კი, ეს სხვა მხრივ ალალი ბიჭი, ზიზღითა და გაბოროტებით ხვდებოდა. თავის მხრივ არც თვითონ ტყუოდა და იმ საბრალოს ხომ მისივე უბედობა დაჰქონდა მართლმსაჯულებად...

წყაროს წყალთან გახევებული ქალი ფიქრებიდან შიშველ ფეხებზე ატლეკილმა წყალმა გამოიყვანა: – რა დაგემართა, ქა-

ლო, შენ თუ არა გწყურია, დოქს მაინც შეხედე, ყელი როგორ გაშრობია და საცოდავად ხრიალებს... რა ენაღვლება ამ ხალხს რა... – ელიკლიკებოდა ფიქრებში წასულს გამწყრალი წყარო.

სამშობლოდან გადახვეწილნი

„ჩვენ ცხრათვალა მზეთა და მძვინვარე ზღვათა
ტრფობა გაგვყოლია...
როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან,
ჩემო მაგნოლია...“

ანა კალანდაძე

ტოფობის ჟამი იდგა. სახლების ბანებზე გრატა-ჩიტები დაქივქივებდნენ. ბეღურები უცხო ქვეყნებიდან მოფრენილთა წამხედურობით დიდ ღონისძიებებს აწყობდნენ .

თვალ-ყური ცისკენ გადაეტანათ გოგო-ბიჭებს. აგეტირებოდა, რა დაქანცული სიდინჯით, შეთხელებული მწკრივით, უამრავი გაჭირვების გადატანით მოგვრილი სევდით ივლებოდა ზეცის თავანზე მეთოდურად განლაგებულ გუნდთა შტრიხები.

ყურადღება მოგვაკლდაო?! შინაური მღვდლები ვართ, გაჭირვების მიუხედავად ბიჯს არ ვიცვლით ჩვენი მიწა-წყლიდან, მაგრამ ვინ გვიფასებსო და... ატეხეს ბეღურებმა ერთი ვაი-უშველებელი – ჭყლოპინი, წრიპინი, წიპწიპი, ჩიპ-ჩიპი.

იქ უსამშობლო დაღალულიყო ნოსტალგია, აქ – დასნეულებულ მკერდს თავისი გზაკვალარეული ეპოქა სტკიოდა.

სხვა გზა

„... ვრცელ არს ბჭეჰ და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა“

(მთ. 7,13)

ისე გულუხვობდა ირგვლივ ნათელი, პოეზიას არ დაიშურებდა კაცი. გზად მიმავალი ტლიკვს წასწვდა და მასზე ბოღმით მთვლემარე ყვავს გული კინაღამ ბუდიდან ამოუგდო. საამური, ტყის სიღრმიდან გამომსხლტარი ჭყლოპინი მოშრიალე ფოთლებს ეჩრებოდა პირში. უთუოდ ჩხიკვებს ჰქონდათ ქორწილი და მიხრწნილი ყვავი, ეს ჯოჯოხეთის მაშხალა, ახლოსაც არ გაეკარებინათ. აღარ ტყუვდებოდნენ მამ-პაპათა გამოცდილების გაკვეთილად მიმღებნი – თანამედროვე, გამოქექილი ჩხიკვები. ეს მრუმე კი ტოლუმბაშობას ფქრობდა, სწორედა მიტომაც ჩამოეშვა ცხვირი ერთ ადლზე და პროგრესს (გამოცდილების თვალსაზრისით) ნუგბარ-ნუგარ, ცხრასართულიან წყევლას უთვლიდა. ბიჭის უხეშ ხუმრობაზე ისედაც აღრენილი, საშინელი ყრანტალით წამოვარდა და ზენიტს ეცა.

რამდენიმე ნაბიჯზე სამხედრო პოლიგონი გამოჩნდა. სროლა გაემართათ ჯარისკაცებს. არ გაატარებდნენ, მიხვდა და ხევიდან დაიმოკლა გზა.

იქვე, პატარა რუსთან, ჩამოჯდა უნებურად. ბარგი კი, რომელიც მისი ავლა-დიდებისთვის საკმაოდ მომეტებულად გამოიყურებოდა, გვერდით მოიდგა და ჰერიი... გაიშხმუტუნეს უკან სოფლისკენ სევდნარევმა ფიქრებმა: ეურჩა ზვაობაატანილი გული სულისგანმანათლებელ აღმზრდელს, პირველად თავის ჯერ კიდევ გაუცნობიერებელ, მცირე ცხოვრების მანძილზე ეურჩა პაპას და ერთი ხელის მოსმით ჩაუყარა ამაგი წყალში.

„იქ სადაც მოთმინება – ეს დიდი ღვთაებრივი სათნოება, მოთმინებას კარგავს, დამარცხებულია კეთილი“... – არ ეშვებოდა მოხუცის ალერსიანი მოძღვრება ფიქრების ტყვეს. იმ მოხუცისა, ახლა, სწორედ ამ წუთებში, გულმოკლული, ჩაფერფლილი გონებით რომ ცდილობდა აღედგინა, თუ რა შეცდომა შეაპარა შვილიშვილის აღზრდას.

...და იქნებ არც შემცდარა მისი ნაშიერი?! ეგებ ასე მიიწევს მომავალი წინ – გაურკვევლობისა და ცვლილებებისკენ და ეს გარდაუვალი კანონზომიერებაა?!

სად არის სიმართლე , სად?! ვინ გამცემს ამ დილემაზე პასუხს, – უკვე გაკვალული, ნაცადი, გამოცდილი გზა, უძრაობა თუ ცოცხალი ენერგიის მექანიკური მოძრაობა წინ, ინდივიდის განუმეორებელ, მისეულ ამბად, მისეულ დრამად ქცევისაკენ.

და ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი რომ კვლავ ნაცნობ წარსულად იქცევა?!

... და ასე დაუსრულებლად ერთი და იგივე, ერთი და იგივე მზის ქვეშეთში, სადაც დასაბამიდან არაფერია ახალი...

იქნებ გამოცდები სწორედ ამ შენობაშია ჩასაბარებელი?!

ვინ იცის...

უცხო გარემოში

... მუსიკა – მოთქმა! მუსიკა – შფოთვა!
ტკივილი, მაგრამ ტკბილი!..
... მუსიკა ფარსი, მუსიკა არსი,
ეშმა, დემონი, ღმერთი...

მ. ფოცხიშვილი

ზარითა და ცემით ეხლებოდა ეგრეთ წოდებული „მუსიკა“ კედლებს. ბოლომდე აწეული ხმა კი სულ უკარგავდა შნოსა და ხიბლს, თუკი ამგვარი რამ საერთოდ გააჩნდა, რადგან დამეთანხმებით, რიტმიც არის და რიტმიც.

ის, წყნეთის ქუჩაზე შემთხვევით მოხვედრილი, სრულიად უცნობ გარემოში სუფრასთან იჯდა და ნატრობდა ვულგარული ხავილი არ შეეცვალათ რაიმე სანდომიანი, გულში ჩამწვდომი მელოდიით, რადგან საკუთარ თავთან შეხვედრას გაურბოდა. ეს ველური ღრიანცელი კი უხამს ხასიათზე აყენებდა. გარემოც ამგვარი იყო, ძალიანაც კარგი!

მუსიკა – პოეზიისა და ჰარმონიის შეუღლებაა, ცისიერის ცრემლებით შეძრული ზღვის ფრთონაა იგი; ჭვირია ცინცხალი, ხასხასა, ხალას ცისკრის ვარსკვლავს გამოტყორცნილი; მტრედისფერი ტატნობია, ჩასაფრებულ ღრუბელ ფიქრში ჩამხრჩვალი.

მუსიკა – ფავორიტია სულის კარებზე, ლოველასივით მუსუსია და ყველგან იჭრება; ლომის გამწვრთნელის და ცხვრის გამცხარებლის იმიჯი აქვს; სტიქსში განბანილ აქილევსივით უკვდავია, ეს ის ძალაა, გულკაჟი ურჩხული რომ აუცრემლებია და ერთხელაც იქნება თვით ცერბერს, ამ შეურყვნელ დარაჯსაც მოუგრიხავს კისერს. მაგრამ ერთი სისუსტე მაინც გააჩნია – ვულგარიზმი დაშტერებია მის ქუსლს. ვაითუ მიაზმებმა, დისჰარმონიით წარმოქმნილმა, მოაშთონ მისი ყოვლისშემძლეობა...

დამეთანხმებით, რომ ეს ფეტიში უამრავ სიკეთეს გამოიწვევდა, სულ თან რომ დაგვყვებოდეს მისი კეთილხმოვანება და რომ არ ცვლიდეს მას ფსევდო-მოდერნისტული, სკანდალური კაკაფონია – ყოველგვარი ქვენა გრძნობების ამშლელი დისკომფორტული აურზაური.

– აბა, ძმობილო!.. დამილიე ეს სასმისი!.. – მიუბრუნდა ბიჭს გვერდით მჯდომი, – მიდი, მიდი!.. ჯერ ბავშვი ხარ გეტყობა, მიხვდები ცხოვრების ყადრს, – გაეღრიჭა იგი დ ისე ახლოს მიუტანა ქვებუდანი სახე, რომ ბიჭმა უნებურად უკან დაიხია.

თუმცა კი ცდილობდა, თამამად მაინც არ გამოუვიდა და საკმაოდ უხერხულად წარმოთქვა: – გაგვიმარჯოს! – თავი ასწია თუ არა, შვებით ამოსუნთქვა ვერც კი მოასწრო, რომ უცებ პირისპირ მჯდომს შეალეწა დაბნეული მზერა.

უცნობი თანამესუფრის შავი, ქუში თვალები ღრმა, უსაზღვროდ ღრმა და ჩამთრევი ძალისა აღმოჩნდა. იგი ლეთას მსგავსად ყველას და ყველაფერს ნთქავდა და შიშის, ცნობისმოყვარეობისა და პატივისცემის დომხალს იწვევდა.

მზერა აარიდა ბიჭმა.

ამ მომნუსხველმა პიროვნებამ ჭიქას წამოავლო ხელი თუ არა, სამარისებულმა სიჩუმემ გაკენწლა დახშული ჰაერი. ის ტკეპნით, ძალიან ჩუმად, დინჯად, დიდი პაუზებით საუბრობდა. არ უარვყოფ, შეძენილი მანერა იყო, მაგრამ გვარიანად გათავისებულიც, რომელიც, რაც გინდა თქვით და, ლასოსავით წამოსდო წუთის წინ აყაყანებულ გარემოს და სიჩუმე სეფესიტყვასავით დაამკვიდრა ირგვლივ.

* * *

ქალი, რომელიც მას „წილად ხვდა“, კატასავით მოქნილი, ულაზათო და თავხედობამდე თამამი იყო. რაღაც ყიამეთი დასდევდა მის გარეგნობას და მაინც გონიერი თვალები ჰქონდა.

ამ თავისი საქმიანობით მოღალულმა მესალინამ ცივად მიიღო ყმაწვილი, თხემით ტერფამდე შეათვალიერა და ერთ-ერთი ოთახისკენ დაუდევარი სიმჟავით წაუძღვა.

ეთოლოგიის შესასწავლია უთუოდ ის, რაც ამ პატარა ოთახში ხდებოდა: ეიფორიულ მდგომარეობაში მყოფი რამდენიმე პირი სხვადასხვა საქმით დაკავებულიყო და სავსებით დაეკარგა ადამიანური სახე, ღირსებაზე რომ აღარა ვთქვათ რა. თითოეულის პანტომიმიკა ცინიზმსა და ზიზღს გამოხატავდა; მათი უხამსი როკვა, სკაბრეზული ანეკდოტებით გაჯერებულ სივრცეში, ეშმათა სადღესასწაულო მსხვერპლშეწირვას მოგაგონებდათ – ზვარაკი კი მათი უმანკოება, სათნოებანი, და რაც მთავარია მათი სული გახლდათ. მართლაც ხარობდა ბოროტეული!

მკრთალ შუქზე ყვიციანი სახეები, ვნების, ორგიის, სიბილწის, და სულის დაკნინების ტრაგიკულ სცენებს კინოკადრებივით ირეკლავდნენ, ინტიმის პანეგირიკს კი აქეთ-იქით დაუდევრად დაყრილი ტანისამოსი, დამსხვრეული ჭიქები თუ შპრიცები სიმბოლურად აგვირგვინებდნენ.

დამყაყებული სულის სიმყრალე წამლავდა ჰაერს და გრიფივით გაუმაძღარი აღვირახსნილობა პირზე ნერწყვმომდგარი ფსოვივით დაფრაშუნებდა ოთახში. მფარველი კი... მათი ამ წარწყმედისაგან დამხსნელი, საკუთარი ნებით, თავად გაეძევებინათ სულიდან.

თავიდან ეხამუშა, მაგრამ განა იქ მყოფნი დედის მუცლიდან შობილიყვნენ ამგვარნი. ასეთები მოუქცევიათ მარტო... და ეს გამოუცდელი ისე უნებლიეთ, მაშინალურად გაეხვა შავი ფეიქრის საგულდაგულოდ დაგრაგნილ ქსელში, რომ დაფიქრება არც კი უცდია. ეს იყო მხოლოდ, – სულის სიღრმეში ჭანგი ჩაავლო რაღაცამ, – მწვავე და გონსმოსაყვანი. ეს პაპის ხმა იყო უსათუოდ, მისი ძახილი, მაგრამ ჰა – ჰა – ჰა!.. ვაი, რა საბრალოდ, უსუსურად და სასაცილოდ მოჩანდა აქედან! სანტიმენტალიზ-

მი?! – ჰე, მოწყდეს აქედან ამ გაუხეშებულ, ყიამყრალ სამყაროში! პაპის ხმა?!. – ჰოი, ჩამორჩენილობავ და წყვდიადო, რა შაბლონია!.. ჩამომხრჩვალ კატასავით სასაცილო!..

ქსელს კიდევ ერთი აცაბაცად მობურდული უჯრედი შეემატა, – სწრაფად აშენებს ბოროტი!

* * *

„უმეცრებასავით თამამი არა იქნება რა...“

ვაჟა-ფშაველა

სამყარო ვიზუალურად აღქმადი ხდებოდა. ყოველშემთხვევაში ამისთვის თავს არ ზოგავდა. და აი, ნელ-ნელა გამოიკვეთა კიდეც – ჯერ ჭიაფერი დაედო და შემდეგ წამისად გაეყინა აბრისი.

ოთახში შემთხვევით გაჟღერებული კლასიკური ჰანგები გრაციული მოძრაობით ელაციცებოდა ფარდებს, ანჯამებსა და ჟალუზებს; აბურდულ, გაოფლილ თმებში უვლიდა ახალგაზრდებს; იცოდებდა მორფევსის ბრჭყალებში მყოფთ და თვალცრემლიანი უსინჯავდა თითოეულს შუბლს.

უამრავი ღრანტე-ორწოხია გადასავლელი ჭაბუკობის ჟამს. გამოცდილება გონიერების ქვაკუთხედია, ესაა მხოლოდ – არ უნდა წავიბორძიკოთ, და თუკი წავიბორძიკებთ არ უნდა დავეცეთ, თუკი დავეცემით, წამოდგომა უნდა შევძლოთ უთუოდ.

ჭაბუკობისას ყველა ჩიხში პანტა-მსხლებივით ცვივიან პანდორას ყუთები. აფერუმ მას, ვინც ცნობის სურვილით არ ახდის თავს, მაგრამ სიჭაბუკე – ეს თავად ცნობისწადილია უსაზღვრო, ულევი და შეუბრკოლებელი; ვერაფერს გააწყობ, სიჭაბუკეა, გადაეღობები – წაგლეკავს!

სითამამეს გვამი დაემორჩილებინა და ახლა სულს უღებდა ბოლოს. მანაც იგრძნო ის საოცარი გარდასახვა, ამგვარ ვითარებაში მყოფთ ყოველგვარი გაოცების გარეშე რომ აღმოუჩენიათ საკუთარ თავში. რუბიკონი გადალახული იყო. ახლა ვეღარაფერი შეაჩერებდა...

კარი ოდნავ, შეუმჩნევლად შემოჩოჩდა. ისევ შთანთქა უცნაურ თვალთა მზერამ ბიჭი. შემოსულს თავი ფხიზლად და საღად ეჭირა. ეტყობოდა სხვებივით არ აჰყოლოდა ვნებათა ზარხოშს და ღამე ძილში ან ფიქრში გაერეკა წინ.

– ისე დავიბენი სახელიც ვერ გკითხე წუხელ სუფრასთან... – სალამს ღიმილით დაასწრო ბიჭმა.

– დემე..., დემეტრეს მეძახიან!.. აქ როგორ მოხვდი? – შეუბრუნა მომხვდურმა კითხვა.

– ააქ... აქ იმან..., ჰო, გემზამ მომიყვანა. შემთხვევით გავიცანი ქუჩაში, ჰოდა სუფრა გვაქვსო, დამპატიჟა.

– ჰოო..., თუ მოგწონს დარჩი. – კარებისკენ პირმიქცეულმა კიდევ ერთხელ მოხედა ბიჭს და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა, – ისე კი არ გირჩევ... – და თითქოს უხილავმა ძალამ გაიხურა კარები.

რაც შეიძლება შორს

საჰაერო პორტზე წამოათენდათ. შენობის ფასადი, პორტალით, გრანდიოზული და შინაარსიანი ჩანდა. საერთო გადახურვა კოლონადას ეყრდნობოდა და ამის გამო გაამაყებული სვეტები ისეთი ამპარტავნული კეკლუცობით იხვევდნენ სხეულზე მარმარილოსგან გამომსჭვალავ ციატს, იფიქრებდით სპილოსძვლისფერი გველები სრიალებენო აღმა-დაღმა.

თავი ჩაექინდრა ბიჭს. ღამის თევას ვერ იტანდა და თვლემდა. თანმხლები გემზა და საოცრად მერკანტილური იერსახის ყმაწვილი შორიახლო ჩამომსხდარიყვნენ და რული არ ეკარებოდათ.

ნელ-ნელა, ნება-ნება, ტაატით თენდებოდა. ჯერ პირისფერი დაედო ზეცას, შემდეგ კი ღადარს დაემსგავსა. მეთოდურად იგლისებოდა ერთმანეთში კოსმიურ ფერთა გამა. ოკულტურ რიტუალებს მოგაგონებდათ მყისიერი დაბადება და გარდაცვალება პალიტრის ფერთა. მოულოდნელად კი გარდატეხა-კრიზისმა იკლო და ეთერში ერთბაშად გამეფდა რიჟრაჟი.

დილით ადრიანად გაშლიდა მძლავრ ფრთებს გახევებული დანომრილი ფრინველი ნაცრისფერი ჩრდილოეთისკენ. საქმე კი ვერაფრით მოეგვარებინათ .

– сергей, как насчет дело? – იმედიანად ჰკითხა გემზამ მისკენ რუსული სიმსუბუქით მიმავალ თანატოლს.

– наверно сможем! – არც კი შეჩერებულა ამფსონებთან, ისე უპასუხა სერგეიმ და ისეთი შემპარავი ნაბიჯით ჩაიარა, დამნაშავე სიფრთხილეს რომ ძალუძს მხოლოდ.

– სერვალ, სანაძლეოს ვდებ, დღეს თუ აქედან არ დავტყდით, ხვალ ვირის აბანოში გაგიღიმებ მომხიბლავი თვალებით.

– მოგებული გაქვს, – ხუმრობის ხასიათზე არ იყო დამქაში.

– ის სადღაა? – გაახსენდა უცებ ოთხნი რომ იყვნენ და მზერით მყვინთავს გადააწყდა თუ არა, დააყოლა: კაი დაბნეული ვინმეა, სოფლელია?

– არ ეტყობა! – გაღიზიანდა რატომღაც გემზა, – არ ღირდა მაგის საქმეში გარევა.

– გაგვცემს? – ბაცაცა თვალები გაუფართოვდა სერვალას.

ისევ გამოჩნდა აჩქარებით სერგეი, რომელსაც თავი მხრებში ჩაერგო და ტურასავით მოიძურწებოდა. აშკარად უკეთ იყო საქმე.

– სერგეი! – ახლა სერვალამ გასძახა კითხვით სავსე მოუთმენლობით.

– ნუ ჩხავიხარ, კრეტინო! – გაანჩხლდა გემზა, – ხალხს ვერ ხედავ?! ეს ვისთან მაქვს საქმე, შემოგაჩეჩებენ ამ ახალბედებს და უნანავე მერე!

რამდენიმე წუთში ოთხივე დინჯი გამომეტყველებით მიუყვებოდა ტრაპს.

გემზა ქერას გაუსწორდა და თვალი ჩაუკრა.

მიხვდა რუსი, რომ აქებდნენ და თვითკმაყოფილმა ჩაიღიმილა.

სიძულვილის ზონა

– ბუბინ, ყურადღება არ მოადუნო, პეტროვი დაეხმარე... დანარჩენები სად ეშმაკებში არიან? ერთიც არ გაგექცეთ, თორემ ტყავს გაგაძრობთ, სიკვდილს განატრებინებთ!.. უხ, თქვე კავკასიელო ღორებო!.. – ბღაოდა მილიციის უფროსი და მისი ანიმალური გამომეტყველება ნებისმიერ ცხოველს შურით გახეთქავდა გულზე.

მილიციას წრეში აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი მამაკაცები მოემწყვდია და არ ზოგავდა.

– რა დავაშავეთ? რა ხდება? – რის ვაი-ვაგლახით შეძლო ხმის ამოღება ბიჭმა.

– მკვლელობა მოხდა. კავკასიელებს ბრალდებათ. – გაეპასუხა გვერდით მდგომი. შემდეგი სიტყვები კი გამაყრუებელმა ყიჟინამ შთანთქა. მხოლოდ გაურკვეველმა კონსონანტებმა გაიჟღერეს სუსტად.

... უხამსი, უშმი, უცენზურო სიტყვებით გაიჟღინთა ტვინის ყოველი უჯრედი. ახლა ბიჭის ცოდნის სფეროც ამ ლექსიკით ამოიწურებოდა მხოლოდ. გული ნაღველითა და შხამით აევსო

და ისე, რომ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, მის წინ წაჩოქილს გადაანთხია ნარწყევი.

გონება წყვდიადმა მოიცვა. დაჩოქილი ბიჭი კვლაც დამტვრეულ გემს შერჩენილ ანძასავით ირწეოდა. იქვე მდგომმა „გულისხმიერმა“ თანამშრომელმა იგრძნო კაცის გასაჭირი და ძლიერად მოქნეული ხელკეტით მყისიერად განაშორა გაჭირვებას. გრძნობადაკარგული ბიჭი ისევ დაწინაურებულ მეზობელს გადააწყდა ზურგზე.

მილიციის უფროსს, როგორც იქნა, სასურველი შედეგისთვის მიეღწია, თავდაჯერებული ტანცმაისტერივით წაედგა წინ ფეხი და ლამპასებზე ხელის ტყაპუნით აჩქარებდა საქმეს. საქმე კი ამ საბრალო ადამიანების სატვირთო მანქანაში ტომრებივით ერთიმეორეზე დაწყობა და გადაზიდვა იყო.

ხანმოკლე აბსანსის შემდეგ გონს სად მოეგო, ვერ მიხვდა. ჰიპოპოტამის ტლანქმა, გაუსაძლისმა სიმძიმემ და ენით აუწერელმა ზეწოლამ კინაღამ გონება დაუბნელა ისევ. ბოლოს იაზრა: ადამიანებს შორის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოქცეულიყო, რომელნიც საბარგო მანქანის ჭერამდე დაელაგებინათ. სუნთქვა თითქმის შეუძლებელი გახდა. ჯოჯოხეთსაც თავისი ფილიალები ჰქონია თურმე!

მერე სადღაც ქალაქის ნაგავსაყრელზე ჩამოცალეს მანქანა. ბევრის გულს ვერ გაეძლო, უფრო კი ასაკოვანთა.

* * *

მკვდარი თუ ცოცხალი ერთნაირად გარინდულიყო ნაგავსაყრელზე. ამ ხნის განმავლობაში პირველად გონს მოსულმა გემზამ იქვე მწოლიარე, მიტკლისფერ ბიჭს მოჰკრა თვალი. იდაყვზე დაყრდნობით აითრია წელი და მზერააშლილი შორიახლო მიუჩოჩდა ერთიანად გადაფითრებულს. შემდეგ დაუწმენდელი ცნობიერების კარნახით მექანიკურად ქვისკენ წაი-

ღო მოკრუნჩხული, ერთიანად გადამტვრეული თითები, მაგრამ ულმობელმა ტკივილმა სიმწრით გააშეშა. და უცებ მთელი ძალის მოკრებით ზიზღით მიაფურთხა ბიჭს.

სახის მოწმენდა ვერ მოახერხა. ჯოჯოხეთურად სტკიოდა სხეულის ყოველი ასო. ღველფად ჩამოედინა ბლანტი სითხე სახეზე. ვერ მიხვდა ასე პირდაპირი გაგებით რად დაასხეს თავს ლაფი. ეს უკვე მეორედ და მერე ვინ?! – „ძმა, ძმობილი, ძმადნაფიცი, ძმაკაცი, მოძმე...“ – ქაოტურად არიალდა გონებაში და ისე, როგორც არასდროს მოუნდა ყვირილი – გაბმული, ხაფი ხმით ზარდამცემი, შეურაცხყოფილი, თავლაფდასხმული კაცის ველური ჭექით. მაგრამ სადღა იყო ხმა... ერთადერთი ხმა ჩარჩენოდა გვამში, ძახილის მსგავსი და ისიც... გახსენებად არ ღირდა ვგონებ.

წერილი ნენის

„ღმერთი სიყვარული არს“

(იოანე 4, 8)

„მე ვისურვებდი ხელმწიფებას ყველა საგანზე, ძალაუფლებას – ცხოველებზე. და ეს მოთხოვნა იმით მართლდება, რომ მე ვარსებობ, ამის შანსი კი ამ ერთადერთხელ მომეცა მხოლოდ.“ – ბერტოლტ ბრეხტის ეს სიტყვები ერთგვარი ვექილი იქნებოდა ჩემი ცხოვრებისა, თუკი მას გულგრილად არ წაიკითხავ, ნენი.

ახლა ჩვენთან ზამთარი აზარტშია შესული, ისიც ძალაუფლებაზე ფიქრობს. მან არა და, მე კი ვიცი, რა ხანმოკლეა მისი ტრიუმფი. და თუ ნიშნს მომიგებ, გეტყვი, რომ ვერც ბრეხტი გადაურჩებოდა ამაოების სარკაზმს, თუ რომ ოცნება ასრულებოდა.

ფრინველთა რეემიგრაციის მსგავსად მეც ვუბრუნდები (ვშიშობ, რომ გვიან) საკუთარ სხეულს. მერე მყარად ვდგებით ორივე მიწაზე (როგორც ამას შენ იტყოდი) და მატერიის მძაფრი შეგრძნებით ველოდები ჩემს სასიკეთო ფერისცვალებას, მაგრამ ამაოდ.

მიწიერების მძაფრი შეგრძნება კარგა ხანია გაცრიატდა ჩემში. შენც კარგად გახსოვს, ამდაგვარებზე გეზელივით ნადირობდა ჩემი სული მრავალი წელი.

ფრინველთა დაბრუნება – დაბრუნებაა მშვიდობიანი, მე კი „დაბრუნება“ დაღუპვას მიქადის უთუოდ (ჩემგან მრავალი გიწვნევია და ამ ბოლოს ეს ფილოსოფოსობაც მომითმინო უნდა) .

პროზაულია, მრავალი ჩივის, მთელი ცხოვრება ფილისტერებთან და მეშჩანებთან მქონდაო საქმე. ის „მეშჩანი“ კი იგივეს ჩემზე ამბობს და აი, აქ საუკეთესო ერთია, ნენი, თურმე ყველას თავისი სულელური სიმართლე აქვს ამქვეყნად.

არ მიყვარს ზამთარი და ის, რაც არ მიყვარს, მართლმსაჯულების უსამართლობასავით მოსჯარვია ჩემს არსებას. და მაინც, ცხოვრება აკვიატებაა, ვფიქრობ. ზამთარს გაზაფხულის თვალით უნდა შეხედო თურმე; ტკივილს გაუყუჩდე და ისე ღრმად ჩაჰყვე, თითქოს ეს შენ აწუხებდე მას და არა პირიქით.

შენ კარგად იცი, მთელს ჩემს ბავშვობას ტარანტულივით გესლავდა სიკვდილის შიში. გთხოვ, გაიხსენო, რა საცოდავი თავგამოდებით ცდილობდა ჩემი ექიმი, ის საბრალო მონომანი, ჩემთვის ამ განცდის შემსუბუქებას.

„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად,
რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ!...“

ჰმ! მაგარია შექსპირი, არა!

სიკვდილი – ეს ფილოსოფიური ჭვრეტის აკიდებული საცოლე, ინტერლუდია ფარსსა და ტრაგედიას შორის – დიდი ფენომენია, უთუოდ. იგი მეც მმეგობრობს და რამდენადაც შიშის

თესლს აბნევს ჩემში, იმდენადვე საოცარ ნაყოფსაც აღვივებს – სიხარულნარევ მოწიწებას გარდასახვის, გარდაცვალების მიმართ. საოცარია? არაფერიც!

სიცოცხლე – თავისთავად მშვენიერი ნიმფა საკუთარი ხელით შეგვირყვნია, ნამუსი აგვიხდია, შეგვიბილწავს, ღვთაებრივი არა შეგვირჩენია-რა და ახლა წუწუნით ვიკლებთ. არა, სიკვდილსაც რომ წუნს ვდებთ... ამ ანონიმს, ინკოგნიტოს, არ ვიცნობთ, წარმოდგენაც არ გვაქვს მასზე, მხოლოდ თვალი თუ მოგვიკრავს და სულს კი ვუხასიათებთ.

სიკვდილი, რომელიც საკმაოდ კონფიდენციალურ აუდიენციას აწყობს აგონიაში მყოფთან, ხაზგასმით გამოაცხადებდა საკუთარ პრევალირებას სიცოცხლესთან შედარებით, რომ არა კუბო, სუდარა, ნიჩაბი, სილფიდები... – ეს ის აქსესუარებია, რომელთა გამოც ამ ყოვლად აუცილებელ სულის ევოლუციას ვიწუნებთ.

ამქვეყნად კი ყველაზე მეტად ერთში ვერ ვერკვევი, ნენი, – ეს ფერთა სიმრავლეა, უხვი და დამთრგუნველი. თეთრში შავი ვპოვე და შავში – თეთრი. ფერთა პირობითობა ყველაზე თვალსაჩინო ქაოსია ამ წუთისოფლის.

ვიცი, ყველას თავს გარკვეული მეუფება ვრცელდება კეთილშობილი თვისების სახით. მეც ჩემში მყოფი ხელმწიფება მეგულება ამქვეყნად, რომელიც დარწმუნებით ვიცი, რომ უფალია, ასეთი სახით გაცხადებული და რომლის წინაშეც მე, მისი ფერხთა მტვერი, დიუმას დახვეწილი გმირივით ვიდრეკდი მუდამ მუხლს;

მას მუდამ ველტვოდი და სრულყოფილად კი ვერასოდეს შევწვდი, მხოლოდ მისი აჩრდილის ირგვლივ მიხეტიალია უსაზღვროდ და ამ ჩემი ცხოვრების ოდისეამ, ერთში დამარწმუნა, მხოლოდ სხვათათვის ზრუნვის და თავგანწირვის სანაცვლოდ გვეძლევა ეს ფასდაუდებელი საჩუქარი, იგი თვითშეცნობის ნიადაგზეა აღმოცენებული და რაც ხანი გემატება, რწმუნდები, მის გარეშე არაფერია სიცოცხლე, სრულიად არა-

ფერი! – ეს საუფლო გრძნობა სიყვარულია, ნენი!.. და რამდენადაც განუზომელია მისი ძალმოსილება, იმდენად დიდია ჩემი სიფრთხილე ამ სიტყვის წარმოთქმისას.

ჩემს ცხოვრებაზე გული არ დაგწყდეს არც ერთი წუთით. ნუთუ სხვებივით შენც მიგაჩნია, რომ მრუდეა ჩემი გზა?! ფერთა სიმულანტობისა არ იყოს, ეგებ ამიხსნა, რას ნიშნავს მრუდე და სწორი. ერთადერთი სწორი და ჭეშმარიტი გზა არსებობს, აბსოლუტური და დისკუსიას მოკლებული და ეს გზაც აბელის სისხლით მორწყული მიწიდან გაცილებითაა დაშორებული. ეს გზა სულიერ სიმაღლეშია, კაცობრიობას კი სიმაღლის შიშის უკურნებელი სენი შეჰყრია, ნენი!

მე მუდამ ვბაცაცობ, წუთებს ვიპარავ ჟამთასრბოლიდან, კვადრიგის მეეტლის მსგავსად, იმ მეეტლისა, რომლის აზარტულად მოქნეული მათრახი ჯერ ჰაერს გააწნავს სილას და მერე ქაჯშეყრილ, ქროლააყოლილ რაშებს დააცხრება ულმობლად ზურგზე.

სიჩქარე, სიჩქარე... ეს მაინც ხომ არ არის მდორე და უსახური, ჰოდა, მეც მიმეჩქარება!

ო, ეს სიჭაბუკე – ეს გაუნელებელი თვითდაჯერება, ეს ეშმას წარმატებული არენა, რას არ გაფიქრებინებს, საით არ გიბიძგებს, ყველაფერზე ხელს აწერს, გარდა პასტორალური, იდილიური ცხოვრებისა – პირიქით, რაც შეიძლება მეტი ძიება, რისკი, ხიფათი, დაუცხრომლობაა... ვნანობ?.. არ ვიცი... ალბათ... არ ვიცი, არა, არა, არა! სიმაღლეზე რომ იბატონო, უნდა გადმოხტე,

უფალთან ახლოს რომ იყო, უნდა გეტკინოს!

P.S. რა ხანია პეტერბურგში ვარ, აქ შენთან ახლოს... მაგრამ ჩემთან ნუ მოხვალ... მე დიდი დღე აღარ დამრჩენია, ამ მდგომარეობაში კი არ მინდა, სწორედ შენ მნახო. ეს ქედმაღალი სურ-

ვილი, სამწუხაროდ, სიკვდილის წუთებშიც არ მტოვებს. მინდა შენს ხსოვნას შემორჩეს მხოლოდ ჩვენი გაცნობის გაზაფხულიანი საღამო იქ, საქართველოში...

ანაზდად იგრძნო ზურგს უკან ვიღაც იდგა და იცდიდა.

დაღლილი თვალებით ამაოდ ცდილობდა სახეზე ნაცნობი ნაკვთები ამოეკითხა.

– კარგა ხანია შენი ნახვა მინდოდა, და აი, ძლივს მოგაგენი. – კეთილად შეჰღიმა ბიჭმა, რომელიც რამდენიმე წუთის შემოსული იყო და თვალს ადევნებდა მასპინძლის აჩქარებული ხელის მოძრაობას.

პასუხად დამხვდურმა სკამისკენ ანიშნა. სტუმარი უხერხულად ჩამოჯდა, შემდეგ ისევ წამოდგა აწრიალებული: – არც კი ვიცი, საიდან დავიწყო... ძალიან მინდოდა შენი ნახვა ...

– გცემეს, აშკარაა!

– თვითონაც არ ვიცი, რა მიზეზით... ერთ-ერთ ქუჩაზე მკვლელობა მოხდა, კავკასიელები ყოფილანო გარეული და ამის გამო დაგვხოცეს ცემით. მსხვერპლიც არის... – ისევ დადუმდა ბიჭი. საუბრის გაგრძელება სურდა, მაგრამ მასპინძლის სიჩუმე იმ პაწაწა მხნეობის მისხალსაც ართმევდა, აქ მოსვლისთვის ასე საგულდაგულოდ რომ მოეკრიბა. სხვა ჰქონდა სათქმელი, გულის გადაშლა სწყუროდა, იმ ჩუმი სევდის მიზეზი სურდა ეკითხა, ბოლო ხანებში სულს რომ უფორიაქებდა... თვითონაც კარგად გრძნობდა უკვე, მის მიერ არჩეულ ია-ვარდით მოფენილ გზაზე უფრო მეტად დაიღალა, უკან დაბრუნებასაც ვეღარ ახერხებდა, ძალა არ ჰყოფნიდა უნებისყოფოს და დამაშვრალს...

– გემზაც იქ იყო... – ისევ წამოიწყო ბიჭმა. სწორედ მასთან გაგიცანი თბილისში, წყნეთის ქუჩაზე.

წარბები აზიდა მასპინძელმა, ნათლად გაახსენდა ის ღამე და, რა თქმა უნდა, იცნო სტუმარი – თავაწყვეტილი ორგიის ღამეს შემთხვევით მოხვედრილი უცნობი.

– უსაზღვრო სიძულვილს ვგრძნობ გემზასგან, – გააგრძელა ბიჭმა – ზიზღს კი არა... დამტვრეულმა თითებმა შეუშალეს ხელი თორემ, სიამოვნებით მომაშთობდა... ეს მინდოდა სწორედ რომ მეკითხა... ვიცი, დიდ პატივს გცემს გემზა, ეგებ გამარკვიოს, რა შემცდა, სად დავაშავე, მითხრას, გამკიცხოს, ოღონდ... თუ არა და... აღარც მე ვაპირებ მეტის მოთმენას, გამუდმებით შეურაცხყოფის ატანას, პასუხს მოვთხოვ, თუ კაცი ვყოფილ...

– ეს ყველაფერი აქ მოუსვლელადაც შეგეძლო მოგეგვარებინა. – არ დაინდო თავისი შეუვალი ხმით მასპინძელმა სტუმარი.

– მაპატიე, – აირია ბიჭი – ადგილს ვერ ვპოულობ და ეგებ გერჩია-მეთქი რამე... – კარებს მიაწყდა ნირწამხდარი. და სწორედ კარებთან ჩაეჭიდა მტაცებელი ფრინველის კლანჭებივით სიტყვები:

– დიდ მნიშვნელობას ანიჭებ კაცის ნაშიერის, ამ თავად დიდი უმწეობის და უსუსურობის აზრს.

– ?!

– გინდა გითხრა, რა ღუპავს ადამიანს თავის შესაბრალის ცხოვრებაში? – ამბიციები, პატივმოყვარეობა, „მე“-ს გამძაფრებული შეგრძნება, ეგოცენტრიზმი... აი, არასრული ნუსხა ჩემი და შენი დაუძინებელი მტრებისა. იცი, ვის შეურაცხყოფდნენ და სცემდნენ და ბოლოს უკანასკნელი ავაზაკივით ამოხადეს სული? – ქრისტეს, ყოვლისშემოქმედ ღმერთს-მეთქი გეუბნები! წადი და იცოდე, დიდ ვინმედ წარმოგიდგენივარ და ცდები. ვიღაც გემზას აგრესია ხომ ფეხებზე უნდა გეკიდოს საერთოდ. ჭკუა საკუთარ თავს უნდა ჰკითხო, შენში არსებულ სინდისს – ღვთაებრივ ძახილს. ყველას სულშია ის მადლმოსილი, მხოლოდ გონიერებას საჭიროებს ცოტას. წადი და დაიმახსოვრე, რომ ყოველი კაცი ცრუ არს... და იცი, განსაკუთრებით რომელ კაცზეა საუბარი? – იმ კაცზე, თავისი ცხოვრების დევიზად „ბრძოლა არსებობისთვის“ რომ გაუხდია, მგლის კანონებით

რომ ცხოვრობს და მხოლოდ ორ მეუფეს ჰმონებს ამქვეყნად – კუჭსა და ვნებას. წადი, და ნუ დაივიწყებ, ადამიანი ღვთის ხატებაა და მისთვის მსჯავრის დადების უფლება მხოლოდ უფალს გააჩნია. შენ კი... შენი, ჩემი, ჩვენი ამქვეყნად მოვლინება კი ერთით მართლდება მხოლოდ – სიყვარულით და თავგანწირვით გავუყვეთ ქრისტესკენ გოლგოთის გზას.

მისმა ფერმა და გამოხედვამ შეაკრთო ბიჭი. სადღა იყო შთანმთქმელი მზერა იქ თბილისში, წყნეთის ქუჩაზე რომ იხილა პირველად. ახლა იგი, ზებუნებრივად გაბრწყინებული, კი არ გითრევდა, პირიქით, გემიჯნებოდა, ახლოს არ გიკარებდა, შეუვალ ზღუდედ აღმართულიყო და უცებ მიხვდა მომხვდური, დიდი დღე აღარ ეწერა მასპინძელს.

დიახ, ხშირად დიდი ადამიანები ხანმოკლე სიცოცხლის უპირატესობით სარგებლობენ!

დაკარგული თაობა

„ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ“...

(ფს. 24, 7).

ატალახებული ქუჩები მცირედ წაძგიბა სუსხმა. ჭირხლგადაკრული ლაფი საპატარძლოდ გამოწყობილ მათხოვარას წაგავდა; გაზაფხულის თვითრჯული მზე გულდაგულ ჩხიბავდა ყურემარეს, თავისი არსებობის გასამართლებლად სადღაც იაენძელები ეგულებოდა და დაბნეული დაფოფინებდა ირგვლივ, – ხან ქონდარა ხეებს უჩეჩავდა ალერსითა ქოჩრებს, ხანაც ვნებამორეული არყის ხეებს ააყოლებდა ასხეპილ სხეულზე სხივებს.

ნისლის თხელი მარმაში გადაიკრა მიდამომ. ყინვა ძვლებში ატანდა, მაგრამ დაიგულეს თუ არა ადამიანებმა მზე, უცებ გამოცოცხლდა რუსული ტყე-პარკი.

ვაჟები გარიყულიყვნენ მოშორებით, ჩურჩულებდნენ, მაგრამ აშკარა იყო, სასიკეთოს არას ამბობდნენ.

– მაშასადამე, შენი აზრით თამაშია ყველაფერი, არა?! როცა მოისურვებ, მოხვალ, მერე მოგეპრიანება – წახვალ და ასე!.. თავიდანვე შეგნიშნე , რომ კაცობისა არაფერი გეცხო, ეტყობა, შენმა დედიკომ კარაქიანი პურით კარგად გამოგაძღო... მერე, ერთ მშვენიერ დღეს რისკმაც დაგაინტერესა, მაგრამ ვინ შენა და ვინ რისკი, შე მხდალო! – სახე ახლოს მიეტანა გემზას ხეზე მიყრდნობილი ბიჭისთვის და ორივე ხელს ისე უტრიალებდა ცხვირწინ, კაცი იფიქრებდა, ბუზებს უგერიებსო. ირგვლივ თანამოაზრენი შემოეკრიბა, ე. წ. „საქმის გამრჩევნი“, სხვისი ცოდვებისა და ცხოვრების არამკითხე გამრიგენი, რომლებიც თავიანთი „ფასდაუდებელი“ დუმილით ერთიორად ამძაფრებდნენ მათივე გამომეტყველებით მიღებულ უსიამოვნო შეგრძნებას.

– მე არსად მოვსულვარ, არავისთვის არაფერი მითხოვია და, საერთოდ, ჩემი საქმის მე ვიცი. – ხმადაბალი, მაგრამ მტკიცე იყო პასუხი.

იცოდა, კარგად არ დასრულდებოდა ეს შეხვედრა, მაგრამ ახლა მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო.

სულ სხვაგან ქროდა მისი გონება. დემეტრესთან შეხვედრის შემდეგ თითქოს შემსუბუქდა მისი სული:

– მაინც როგორ თქვა, ღმერთს შეურაცხყოფდნენო, ყოვლისშემოქმედსო... შენს შინაგან ხმას დაემორჩილეო... ო, ეს ხმა იყო, მოსვენებას რომ არ აძლევდა, პაპის ხმა ეგონა ერთხანს, მშობელი დედისაც, მაგრამ თურმე საკუთარი სინდისი, ღვთაებრივი ხმა აღმოჩნდა. უცნაურია დემეტრე, უცნაური აქვს მზერაც და... სხვანაირია რაღაც...

– შენ გელაპარაკებიან, ااა... გაგეპარა შიშით სული?! – ირონიული თავის კანტურით გადახედა დამქაშებს გემზამ, აქაოდა, მაინც რა მახვილი ხუმრობა ვიციო და სარკასტული ღიმილი ჩიკორივით დაატრიალა წრეში.

– ასეა ბიძიკო, კაცი უნდა იყო, კაცი, – თვითკმაყოფილმა გააგრძელა შავი ფილოსოფია – თუ გინდა, რომ ცოცხალი დარჩე, აქ ერთი „საქმე“ გავჩარხეთ, ეცადე, შეცდომა გამოასწორო, ამ ერთხელ კიდევ მოგცემთ შანსს, თუ არა და... – პისტოლეტი ააბზრიალა ხელში მრავალმნიშვნელოვნად მხრებაწურულმა და თანამოაზრეებს მარჩხი თვალებით ანიშნა წასასვლელად მზადყოფნა.

რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იდგა ხეს მიყრდნობილი ბიჭი, შემდეგ ქურთუკის ჯიბეებიდან ხელები ამოაწყო, სახეზე მძიმედ ჩამოისვა და ნელ-ნელა ჩაჯდა.

* * *

„არა არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა სცოდოს“

დავით წინასწარმეტყველი

სულმოუთქმელად აირბინა სადარბაზოს კიბეები. ოთახში მეზობლის ქალები წრიალებდნენ და ხმადაბლა იცხადებდნენ ახალშესვენებულს.

სავარძელში ღრმად ჩამჯდარ დემეტრეს თავი გვერდზე გადაეგდო და ისეთი არაამქვეყნიური სიმშვიდე უფლობდა მის სახეს, რომ... რომ განუზომლად შეშურდა ბიჭს. მაგიდაზე წერილს მოჰკრა თვალი გარდაცვლილის სიცოცხლესავით დაუმთავრებელს და უცებ მარწუხებივით დასწნეხეს გულზე. ჰაერი არ ეყო და იმპულსურადნ მიცვალებულისკენ გადადგა ნაბიჯი.

ერთხანს გულმოწყლული დააცქერდა და შემდეგ მისი შუბლისკენ დაიხარა ანაზდად. სიკვდილის სუსხი რისხვასავით შეასკდა აცახცახებულ ტუჩებს.

გარეთ გამოსულმა ფრთხილად მოიხურა კარები, რომელიც სიკვდილის ნირშეუცვლელი დარაჯივით აღიმართა მის ზურგს უკან.

კიბეს ნელი ნაბიჯებით დაუყვა თავქვე და ბოლო საფეხურზე ჩამომჯდარს სინანულის ცრემლებმა ჩაუსხიპა სახის ღარები.

მორჩა...

ქუჩაბანდი ავისმომასწავებლად დუმდა. გარეგნულად მშვიდი იყო ღამე. ეს იყო მხოლოდ, პეტერბურგის ერთ-ერთ უბანში ძილი დაფრთხობოდათ მობინადრეებს.

სხვადასხვა ოთახებში განაწილებულიყვნენ ბიჭები. გაფოთებით ქექავდნენ კუთხე-კუნჭულს, ზოგსაც საბაზანოში შიშისაგან გადალეულ ახალგაზრდა კაცთან „გაეჩინა საქმე“.

მისაღებ ოთახში გაკოჭილი, პირში ჩვარგაჩრილი მოხუცი ეგდო და შეძრწუნებული ადევნებდა თვალს მის სახლში მორიალე უცნობებს.

– შენ მოხუცს მიხედე, ეგებ რამე ათქმევინო, ჯერ დაუყვავე... თუ არ გატყდა მერე ისე შევეხმატკბილებით, რომ უსათუოდ აჭიკჭიკდება. – მოხუცს ბიჭი მიუჩინა ერთ-ერთმა რუსმა „საქმოსანმა.“

ბიჭმა მოხუცთან ჩაიმუხლა. ჯერ დააცქერდა, შემდეგ, თითქოს პირკატა ეცაო, უფრო დაჟინებით ჩააშტერდა ერთბაშად.

– პაპა?! – თავისდაუნებურად ქართულად წამოსცდა . მოხუცმა თავი გადააქნია და მუდარით სავსე თვალებით ახედა

მის წინ ჩაცუცქულს. ელდა ეცა ბიჭს ამ ჩია მოხუცის დანახვაზე. სრულებითაც არ ჰგავდა ეს აჩრდილი მის პაპას, მაგრამ საყვედურით სავსე მზერა კი მისი იყო. მოხუცის ხელებზე გადახვლანჯილ თოკებს წაეტანა ბიჭი. იგრძნო, დაჩიავებული თითები უცახცახებდა ხანდაზმულს ტკივილისა და სირცხვილისაგან.

და ისევ ძახილი დაიძრა გულში, ეს მტანჯველი ძახილი – განგაშის ზარებს რომ არისხებდა და საშველს არ აძლევდა არაფრით.

– პაპა! – ისევ ტკივილიანად დასცდა ბიჭს. რით ჰგავდა ეს მოხუცი მის პაპას, ვგონებ უმწეო და მარტოსული სიბერით და მეტი არც არაფრით. მაგრამ... სული აუტირდა საშინლად და საოცარი სიბრალულით აივსო ბიჭი.

ლმობიერება იგრძნო მოხუცმა. თვალებიდან სიმწრის ცრემლები წასკდა. ირიბად გაჭრილი ცისფერი თვალებით შებრალებას ითხოვდა მდუმარე და თვალცრემლიანი..

თავი დაკარგა ბიჭმა, მოხუცის საშველად ახლა ფეხებზე დახვეულ თოკებს ეცა დანით. გააფთრებულს და აცახცახებულს ხელები არ ემორჩილებოდა, ჩქარობდა, წვალობდა, იტანჯებოდა...

– აბა, ბაბუ, ცოტას გაგაგრილებთ მხოლოდ, ცხელი უთოთი ხელში, კარებში ჩამდგარიყო გაღრეჭილი გემზა, მაგრამ უცებ თოკებშეხსნილ მოხუცს და ბიჭის შეშლილ სახეს რომ მოჰკრა თვალი, გაქვავდა ერთხანს, და ის იყო ხმის ამოღება დააპირა, რომ ბიჭმა დაასწრო და ცხელი საგანი თავად შეენარცხა ცხვირპირში.

– უხ, შეენ?.. შენა?!.. შე... სერვაალ! სობეე! არ გაუშვათ!.. არ გაუშვათ ეგ...!

კარებს ეცა ლეგო, მხოლოდ ეს მოასწრო. იქვე წამოაჩოქეს კიბის ბაქანზე.

მხოლოდ ერთხელ გავარდა ტყვია.

მხოლოდ ერთხელ ამოიოხრა და მორჩა.

დაბრუნება

ორი სასახლე გამოემართა პეტერბურგის სხვადასხვა უბნიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხისკენ.

და არც ერთს არ ელოდა მშობელი დედა.

იდგა საუკუნოვანი ბერმუხა მძლავრ ფესვებზე, ჩამოტეხილი შტოები სტკიოდა და ჩუმად ტიროდა.



ჯერაც არ მივიწყებიათ საუკუნეებს პარიზის ახლოს, მდინარე სენაზე გადაჭიმული სენ-კლუს ბადეები. ასე ერქვა თორემ სინამდვილეში სრულიად საფრანგეთის დედის კალთა იყო იგი, რომელიც თავგანწირული ჩამდგარიყო სენის სიღრმეებში, გულში ჩახუტებულ თვითმკვლელ თუ მოკლულ შვილებს პარიზს შორს არ აცილებდა და მთელი ღამე მოთქვამდა მღვრიე ტალღებში.

და აი, ერთ დღეს, მაისის დამდეგს...

როდესაც სტიქიონები ვალპურგის ღამეს, ჰარცის მთებში ბროკენზე ცეკვავდნენ ველური სიგიჟმაჟით,

როდესაც შუმი არაბული კვიცი ვეღარ დაიოკა სისხლმა,

როდესაც ჩამქრალი ცთომილი მრავალჯერ მოსწყდა მიუწვდომელ სიმაღლეებს,

როდესაც იებს ნანდაური შემოაჭკნათ ხელში,

როდესაც სადღაც გაქირი ზღვა ოჩნობდა და ვეღარ ელეოდა გულის სიღრმეში დაუნჯებულ შვილებს,

როდესაც ალიონის მაცნეს ფახი შეეპარა როყიო ხმაში,

როდესაც ეზოდან ძაღლი გაქრა უნიშანგეშოდ,

როდესაც ფეხებგაჩაჩხული, ნებს ჩაშტერებული ბოშა მჩხიბავი თავს სულელივით აკანტურებდა,

როდესაც სახუნდარში ჩამალული მონადირე ვერ შენიშნა ჩქროგაღებულმა ქორბუდამ...

ერთ პატარა, ქრისტესავით ჯვარცმულ ქვეყანაში ბებერი ნუჟრი ასტკივდა ხნიერს..

ჭაღარა ჯანღი ფატალური გარდაუვალობით იფანტებოდა. დაწალიკებით მიიფლითებოდნენ სილისფერი ქულები ქარში. უგლიმად იქცა ენამზე დარიც.

შეურვებული იცდიდა ბექობზე ჯგროდ შეყრილ სოფელთან ერთად ღლოფო და დელგმა.

ისე ანაზდად, თვით სიკვდილსაც რომ გასცრა ტანში, ჩქერალივით გადმოსკდა ყიას უნდობელი და ულმობელი შეცხადება – ბექობზე ტაატით ამომავალ, მორონინე, ნისლში ჩაკირულ სიკვდილის აკვანს რომ შეაგებეს...

მხოლოდ არგანი ათრთოლდა მოხუცის ნებქვეშ... და კიდევ ბაგენი. ამ უკანასკნელთ კი უკანასკნელად გაიბრძოლეს სამეტყველოდ და ისიც სნებაშეყრილ ქვითინში დაინავლა. ქარმა კი, ზაფრაშეყრილმა და ნერვებაშლილმა, ყური მოჭკრა თუ არა მის ნაჩურჩულევს, მაღლა აიტაცა, ქროლვით მიაფანტა ეთერს, ჩურჩულით ნათქვამი გაახმოვანა, გააჟღერა და ის, რაც მოხუცის დამჭკნარ ბაგეებს ვერ გასცდა, ზარივით ააკივლა:

– როგორ მოდიხარ შვილო!!!..

... ...

ერთბაშად დაიმცრო ღვარცოფი დელგმა, რადგან ნათელმა ჭვირი შეჩურთა წყვდიადს.

სამსალა შესვა თვითმკვლელმა ქარმა და დაიშრიტა სადღაც ხევ-ხუვში.

მთის წვეროკინებზე ქულები დადნენ და უკვე მერამდენჯერ დაინავსა წკვარამი.

შეწყვიტეს რიკრიკი თავდაბეჟილმა წვიმის წვეთებმა. თავმოდრეკილი კვლავ აღსდგა სხივი.

P.S. ტირილით მიეგება სადღაც ნათელს ახალშობილი. ღრეობით და ტაშ-ფანდურით კი – თავად მას დაუდევარი ოპტიმისტნი.

1999 წ.
თბილისი

ნაოზაულია, მრავალი ჩიგის, მთელი ცხოვრება
ფილიცერებთან და მეძჩანებთან მქონდაო
საქმე. ის „მეძჩანი“ კი იყივის ჩემზე აძბოძს და
აი, აქ საყვთოესო ერთია, ნენი, თუმმე ყველას
თავისი სულელური სიძაბოლე აქვს აძქვეყნაღ.

ახლა ჩვენთან ზაქთაში აზაფცქია ქარსული.
ისიც ძალაუფლებაზე ფიქრობს.
ქან ამა ლა. ქე კი ვიცი.
მა ხანქოლია ქისი ცრიუქვი.

ცოცხალნი წვიმის წვეთები. ხიბნელით ნამეგობლობენ.
ყოველი ეხამუშებიდათ ცივილიზაციის ყოველობის
ფაქს და ჩუმად ქიმქილებენ

9 789941 833946